პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 9, პარასკევი, 17 დეკემბერი, 1943 წელი, ფასი 1 მან.

დღეს ნომერშია:

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა.

ქართული კინო-ხელოვნების აღმავლობისათვის (მოწინავე).

კონსტანტინე გამსახურდია — ტევტონური სიშმაგე.

შალვა ბუაჩიძე — „გიორგი საკაძე".

დიმიტრი ჯანელიძე — აკ. ხორავა დიდი მოურავის როლში.

შალვა ალხაზიშვილი — ვერიკო ანჯაფარიძის რუსუდანი.

ნ. ტოლმაჩევსკაია — ძველი ქართული ფრესკა და თანამედროვე ხელოვნება.

ნინო დოლიძე — რენი (მოთხრობა).

გივი გაჩეჩილაძე — სამი ლექსი.

ბესარიონ ჟღენტი — ისტორიის მებრძოლი სული.

მამია დუდუჩავა — ახალი ქართული მხატვრობის ფუძემდებელი.

საქ. სსრ სახალხო არტისტი **ვერიკო ანჯაფარიძე** რუსუდანის როლში (ფილმი „გიორგი საკაძე")

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ კონევს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც წარმატებითს შეტევას განაგრძობენ, დღეს, 14 დეკემბერს, დაძაბული ბრძოლების შედეგად, დაიკავეს უკრაინის დიდი ეკონომიური ცენტრი — ქალაქი **ჩერკასი** — გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი კვანძი **დნეპრის** მარჯვენა ნაპირზე.

ქალაქ **ჩერკასის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **კორეტეევის** ჯარებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **გორიუნოვის** მფრინავებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

პოლკოვნიკ **ბუტენკოს** 254-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **სერგეევის** 294-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **დრიჩკინის** გვარდიის მე-7 საჰაერო-სადესანტო დივიზიამ, პოლკოვნიკ **საზონოვის** მირგოროდის 373-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **გრიბაკინის** 293-ე ბომბდამშენმა საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **პეჩენკოს** 304-ე გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **როდინის** 38-ე საზენიტო საარტილერიო დივიზიამ, პოლკოვნიკ **კორეტკოვის** 173-ე სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ **ეფრემენკოს** 33-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადამ, მაიორ **ჩეპილის** 1817-ე თვითმავალმა საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **შმატკოვის** 568-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ნოვიკოვის** 438-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, მაიორ **კარპაჩის** 1322-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ბელიჩენკოს** გვარდიის მე-17 ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ჩუბრიკის** 490-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, პოლკოვნიკ **ლუკიანოვის** 259-ე ცალკე სატანკო პოლკმა, მაიორ **სემენოვის** 804-ე ახლო-ბომბდამშენმა საავიაციო პოლკმა, მაიორ **ჟუიკოვის** გვარდიის 21-ე გამანადგურებელმა საავიაციო პოლკმა, პოლკოვნიკ **დევიატკოვის** 992-ე ღამის მსუბუქ-ბომბდამშენმა საავიაციო პოლკმა, კაპიტან **პოზდნიაკოვის** 556-ე ცალკე საავიაციო ესკადრილიამ, მაიორ **ვასილიევის** 366-ე საინჟინრო ბატალიონმა, მაიორ **კრიუკოვის** 135-ე ცალკე საინჟინრო მესანგრე ბატალიონმა და კაპიტან **ემელინის** 133-ე ცალკე საინჟინრო მესანგრე ბატალიონმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ **ჩერკასის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „**ჩერკასის**" სახელწოდება.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

ჩერკასის 254-ე მსროლელი დივიზია,
ჩერკასის 294-ე მსროლელი დივიზია,
ჩერკასის გვარდიის მე-7 საჰაერო-სადესანტო დივიზია,
ჩერკასის 293-ე ბომბდამშენი საავიაციო დივიზია,
ჩერკასის 304-ე გამანადგურებელი საავიაციო დივიზია,
ჩერკასის 38-ე საზენიტო საარტილერიო დივიზია,
ჩერკასის 173-ე სატანკო ბრიგადა,
ჩერკასის 33-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადა,
ჩერკასის 1817-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკი,
ჩერკასის 568-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკი,
ჩერკასის 438-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
ჩერკასის 1322-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
ჩერკასის გვარდიის მე-17 ნაღმმტყორცნელი პოლკი,
ჩერკასის 490-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,
ჩერკასის 259-ე ცალკე სატანკო პოლკი,
ჩერკასის 804-ე ახლო-ბომბდამშენი საავიაციო პოლკი,
ჩერკასის გვარდიის 21-ე გამანადგურებელი საავიაციო პოლკი,
ჩერკასის 992-ე ღამის მსუბუქ-ბომბდამშენი საავიაციო პოლკი,
ჩერკასის 556-ე ცალკე საავიაციო ესკადრილია,
ჩერკასის 366-ე საინჟინრო ბატალიონი,
ჩერკასის 135-ე ცალკე საინჟინრო მესანგრე ბატალიონი,
ჩერკასის 133-ე ცალკე საინჟინრო მესანგრე ბატალიონი.

მირგოროდის 373-ე მსროლელი დივიზია, რომელმაც მეორედ გამოიჩინა თავი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში, წარდგენილ იქნას **წითელი დროშის** ორდენით დასაჯილდოებლად.

დღეს, 14 დეკემბერს, 18 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ასოცდათხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი **ჩერკასი.**

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომელნიც მონაწილეობდნენ ქალაქ **ჩერკასის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 14 დეკემბერი.

უცხოთის ლიტერატურის ახალი ამბები

„პატრიოტები"

ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი წარმატება მოიპოვა ამერიკული არმიის სერჟანტის სიდნეი კინგსლის პიესამ „პატრიოტებმა", რომელსაც მოწონებულ ამერიკული კრიტიკა სამხედრო თემაზე დაწერილ ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად სთვლის. ეს არის ისტორიული დრამა, რომელიც ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა პატრიოტული ბრძოლის ეპიზოდებს.

რობერტ გრინვუდის ახალი რომანი

ცნობილი რომანის („მისტერ ბანტინგი მშვიდობისა და ომის დღეებში") ავტორმა რობერტ გრინვუდმა გამოაქვეყნა ახალი რომანი „შტიბი ბიდის სამუშაოდ". ეს ნაწარმოები აკვიწერს ლონდონს ვერმანელთა საჰაერო თავდასხმების დღეებში. რომანი მისი ავტორისათვის ჩვეული მხატვრული სიძლიერით გვიხატავს ფაშისტური საჰაერო თავდასხმის ქვეშ მოყოლილი ლონდონის მდგომარეობის მკვეთრ სურათებს, გვიჩვენებს ლონდონელთა სიმტკიცეს, გულადობასა და გაბედულობას მტერთან დაუნდობელი ბრძოლის ძნიშნ წუთებში.

პრისტლის „დღის სინათლე შაბათ საღამოს"

ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ჯონ პრისტლიმ გამოაქვეყნა ახალი რომანი „დღის სინათლე შაბათ საღამოს". წიგნის თემაა—დიდი ინგლისური საავიაციო ქარხნის ცხოვრება ომის დღეებში. ავტორი მოგვითხრობს იმ ბრძოლის ამბებს, რომლებსაც ქარხნის მოწინავე ადამიანები ეწევიან, რათა დასჭიმონ მთელი ძალღონე იმისათვის, რომ საბოლოო გაძარჯვებამდე მიიყვანონ მთელი პროგრესიული კაცობრიობის ბრძოლა ჰიტლერელთა ველური ურდოების წინააღმდეგ. ავტორი გვიხატავს როგორ მოუთმენლად ელიან ინგლისელი მუშები ინგლისის შეიარაღებული ძალების გაერთიანებას ჰიტლერიზმის წინააღმდეგ გაშლილი ბრძოლის ფრონტზე. ავტორის იდეებს წიგნში გამოხატავს ქარხნის ერთ-ერთი ინჟინერი. რომანში საინტერესოდ არის მოცემული სახე კომუნისტი-მუშისა, წარმოების ოსტატისა, რომელიც ოცნებობს ინგლისელი მუშების მომავალ მშვიდობიან ცხოვრებაზე ომის შემდგომ ინგლისში. ავტორის მთელი სიმპატია ჰიტლერიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ინგლისელი ხალხის წარმომადგენელთა მხარეზეა. მკითხველის წინაშე იშლება გალერეა მუშებისა და მუშათა ცოლებისა, რომლებიც ომთა დღეებში მისულან წარმოებაში სამუშაოდ, ქარხნის ადმინისტრაციისა და სხვებისა. პრისტლი გადმოგვცემს იმ ღრმა აღტაცებას, რომელსაც განიცდის ინგლისელი ხალხი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ ყოველი ცნობის მიღებისთანავე.

პრისტლის ახალი რომანი „დღის სინათლე შაბათ საღამოს" უკვე ითარგმნა რუსულად და მალე დაიბეჭდება ჟურნალ „ნოვი მირში".

ფაშისტური სიშმაგე
კონსტანტინე გამსახურდია

ჩვენი დიდი ბელადის ისტორიული მოხსენება ნოემბერს მოსკოვში წარმოთქმული, ახალი ეტაპის მაუწყებელია წითელი არმიის დიდ გამარჯვებათა რკალში.

ისტორიაში ჯერ არ ნახულა მასშტაბებით მიმდინარეობს ეს ომი, ასეული მილიონებია ჩაბმული ხალხთა ამ უბადლო შერკინებაში, მასთან შედარებით ფერსა ჰკარგავენ ნაპოლეონისეული ომები, ჩოლო საშუალ-საუკუნეთა და ანტიური პერიოდისანი მოსჩანან როგორც ბალღების ომობანა.

საბჭოთა კავშირის ხალხები, ჩვენი საბჭოური მწერლობა და ინტელიგენცია განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით არიან აღჭურვილნი იმის გამოც, რომ დღეს მთელი პროგრესიული კაცობრიობა ორივე ჰემისფეროსი, შუბლში შესცქერის როგორც ძველი, ისე ახალი დროის უდიდეს მთავარსარდალს, რომელსაც ისტორიამ წილად არგუნა უკუქცევა იმ გაველურებული ურდოებისა, რომელნიც ტარტარებს და მონღოლების დარად აღმოსავლეთის გადარუჯულ ტრამალებიდან რომი მოგვლენიან, არამედ ბერლინის, რომის, და ვენის ასფალტირებული ქუჩებიდან.

მათ თუთიყუშებივით დაუზეპირებიათ სანახევროდ გაგიყებული ნიცშეს „ზეკაცური" ბოდვა, ჰიტლერის და მუსოლინის ჰისტერიული სიტყვები ზეადამიანების და რჩეული რასების გამო.

განა თუ მარტო ავტომატები უპირავთ ხელში ამ გარეწარებს, არამედ ჰიტლერის ნაცოდვილარი „მაინ კამფ" და სულელური თეორიები „საარსებო სივრცისათვის".

გაუგონარის ცინიზმით აღვიარებდნენ ისინი და მათი რეგვენი გენერლები ჯერ კიდევ შარშან, რომ აღმოსავლეთის კულტურას საერთოდ არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო და კულტურას როცა ახსენებენ ბრაუნინგის საკეტისკენ ვიშვერთო თითს.

ასეთი სამარცხვინო მისსიით შემოიჭრნენ ეს მანიაკები ჩვენს ქვეყანაში. უფრო მეტი. ერთმა გერმანელმა მწერალმა საქვეყნოდ აღვიარა ასეთი სისულელეც: კულტურა შეიძლება დემონოლოგია და ჰომოსექსუალიზმიც იყოსო. აი, ამგვარი აზრებით დატვირთული კრიმინალური ტიპები აპირებდნენ ახალი წესრიგის დამყარებას ევროპაში.

აქამდის ჩვენ ასე გვესმოდა და განა მარტო ჩვენ; კანტსა და გოეტეს, ჰერდერსა და შატობრიანს, Cultura animi მიაჩნდათ, როგორც გაფაქიზება, აღზრდა სულისა, როგორც მორალური და ესთეტიური აღზრდა ნაციისა და კაცობრიობისა, ხოლო ფაშისტი კანიბალები „კულტურად" სთვლიან ჩვენი მუზეუმების, სკოლების დაწვას, ბალღთა და დიაცთა უწყალო შემუსვრას, ლეონ ტოლსტოის საფლავის შეგინებას გერმანული სოლდატესკას ეზეში ჩექმებით.

გერმანულმა ფაშისტმა კულტად გაიხადა პრუსიულ-ტევტონური ველური ინსტინქტები, ძველ დროშიაც კარგად ცნობილი.

რომაელი ისტორიკოსი ტაციტი ახასიათებს ჯეროვნად მათ: „ყოველგვარი საქმიანობის დროს იარაღში არიანო ჩაჯდარი".

არ ახალია furor teutonicus ტევტონური სიშმაგე.

პრუსიელები მუდამ ცნობილი იყვნენ გერმანულ ყველა ტომთა შორის, როგორც ყველაზე მეტად ეზეში და უნიჭო მოდგმა, რომელსაც დღემდე არც ერთი დიდი მწერალი არ მოუცია.

როგორც პრუსია, ისე მისი ცენტრი ბერლინი, ჭირის დღესავით სძაგდათ გერმანიის საუკეთესო შვილებს: გოეტეს, ჰაინეს და შოპენჰაუერს. პრუსიული მილიტარიზმისა და თანამედროვე ფაშიზმის ცნობილი პაპაა ფრიდრიხ მეორე. ამა თუ იმ ნაციას დიახაც ახასიათებს მისი პოპულარული მეფე, ეს ჰიპოხონდრიკი, ცხოველთმავალი და საზიზღარი ჰომოსექსუალისტი, ეს ზნეობრივად გახრწნილი მეფე, რომელიც ულამაზეს ქალებს თავის მწევრებსა და იუნკერებს არჩევდა, ღირსეული წინაპარია ფაშისტი ჰერმაფროდიტების, ჰიტლერის, რემის და ჰეგელსის, პანტიკუმში მოსათავსებელი ამ შეშლილი მანიაკებისა.

ფრიდრიხმა მოახვია თავის დროზე შვიდწლიანი ომები ევროპას. გერმანიის ხალხის ნაციონალური უბედობა ეგ იყო, მისი მმართველობის სადავეები ასეთ კრეტინებსა და მანიაკებს ხელთ ეპყრათ მუდამ.

მსოფლიო ბატონობის აკვიატებული იდეით გაგიჟებულნი იყვნენ გერმანიის იმპერატორების პლეადა ჰოჰენშტაუფენების დინასტიისა, რომელთაც სისხლის წვიმები დააყენეს იტალიაში და ეს გრძელდებოდა მრავალი საუკუნის მანძილზე.

არც ჰაბსბურგების და ჰოჰენცოლლერების დინასტიები ჩამორჩებიან ჰოჰენშტაუფენებს როგორც იტალიის, ისე, დანიის, სამხრეთ სლავების და პოლონელების დამონებაში.

ჰიტლერისა და მისი მატრაკვეცების მიერ ვითომდაც დამყარებული „ახალი წესრიგი" ევროპაში უთუოდ გულისხმობს ხმა ჩაეწყვეტინოს კულტურული ერების გენიას და აღმართოს ერთი, უნიფიცირებული მიხაკისფერი ყაზარმა, რომელშიაც უნდა ისმოდეს მხოლოდ გერმანული სოლდატესკას დაფდაფების ბრახუნი.

ამ მიხაკისფერი სახადის წინააღმდეგ ბრძოლა პირდაპირი მოვალეობაა: ყოველი, ასე თუ ისე პროგრესიული ადამიანისა.

ამ სახადს სწადია უკუაქციოს კაცობრიობა ფრანკფურტელ ებრაელთა პოგრომებისაკენ, კვლავ მოაბრუნოს ობსკურანტიზმი და დემონოლოგიური კანიბალიზმი.

იმ დიდსა და სამართლიან ომში, რომელსაც ჩვენი დიდი ბელადი და საბჭოთა კავშირის ხალხები ვეწევით ამ ტევტონური სიშმაგის წინააღმდეგ, ქართული საბჭოური მწერლობა და ქართული ინტელიგენცია მჭიდროდ და მტკიცედ დარაზმულია კომუნისტური პარტიისა და მისი დიდი ბელადის გარშემო, რადგან ესაა ბრძოლა კულტურასა და ბნელეთს შორის, ერების დამონებელთა და ეროვნებათა თავისუფლების მოყვარულთა შორის.

ქართველი ხალხის წრიდან გამოსულმა გმირებმა, ჩვენმა არტილერისტებმა და სნაიპერებმა ცვლავ ასახელეს ქართული ხრმალი, რადგან ჩვენ შვილნი შვილთაგანნი ვართ იმ ვაჟკაცებისა, ვისაც ფარცხისსა და ვალამკერტში, სამგორსა და შამქორში, ანისში, დვინში და ასპინძაში არა ერთხელ მიურეჯგვით აღმოსავლეთიდან გადმოცვენილი ურდოები.

ახლა დასავლეთ ევროპის ასფალტირებულ მოსეებიდან გადმოხვეწილ „ცივილიზებულ" ბარბაროსებს აგებინა ბრძოლის რისხვა ჩვენმა სასიქადულო ბელადმა. გაყოყოჩებულ ფონ კლაიტებს, ფონ ბრაუხიჩებს აჩვენა სტალინური სტრატეგიის სუსხი.

ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში აღნიშნავს იმ განსაკუთრებულ როლს, რომელიც მიუძღვის საბჭოური ინტელიგენციას, როგორც ფრონტის, ისე ზურგის ორგანიზირების საქმეში. ჩვენ — მემკვიდრენი ხუთმეტი საუკუნის დიდი კულტურისა, მატარებელნი იმ ბრწყინვალე პატრიოტული ტრადიციებისა, რომელნიც გადმოგვეცა ჩვენი საუკეთესო მწერლებისა და მოაზროვნეთა პირიდან, მუდამ ვიყავით, ვართ და ვიქნებით ქართველ ხალხთან, მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარნი, მისი ბრძოლისა და გამარჯვების თანამშრომელნი.

როგორც ჩვენი დიდი ბელადი მართებულად ბრძანებს ხალხთა ძმობის იდეა გახლავთ ერთ-ერთი საწინდარი ჩვენი გამარჯვების.

სტალინის გენიამ შესძლო ცხვრის ფარასავით წინ გაერეკა გერმანელები, მოტორიზებული არმია და მისი გენერლები, რომელთაც მთელს ევროპაში სახელგანთქმული პრუსიის სამხედრო აკადემიის სკოლა ჰქონდათ გავლილი.

მათ მთელი ევროპა მუხლზე დააჩოქეს. მაგრამ სტალინური სტრატეგიაზე წიტეხეს მუხლი.

ამაოდ ეგონათ ფაშისტ არამზადებს საბჭოთა კავშირის ხალხები ურთიერთს წავესევოდით და მათ წინააღმდეგ მავუშვებდით წყალს. აქაც მოტყუვდნენ სასტიკად.

არაფერი ისე არ აკავშირებს ერებს, როგორც ერთად დაღვრილი სისხლი. ჩვენ ჩვენი საუკეთესო სისხლი გვიღვრია სომხებთან ერთად ჩვენი ხალხების, ჩვენი კულტურის დასაცავად, ჩვენ სისხლი გვაქვს დაღვრილი შირვანის და ბორჩალოს თათრებთან ერთად. ჩვენ ჩვენი საუკეთესო სისხლი დაგვიღვრია ჩვენ შესანიშნავ რუსულ ხალხთან ერთად აღმოსავლეთის ფანატიკოსთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ასევე ურყევია ჩვენი ძმობა უკრაინელებთან და ბელორუსებთან და ამითაა უძლეველი ჩვენი კავშირი და ძალი წითელი არმია.

ახლოდება ფაშისტი არამზადების განკითხვის დღეც.

ჩვენი ქოჩორა ბიჭების სისხლი უნდა ვაზღვევინოთ ფაშისტ ბანდიტებს, სახ ჩობელა არ ასცდება ბერლინელ ყაჩაღებს, რომელთაც თავზე მოგვახვიეს ეს საშინელი ომი.

ჩვენი ხალხის გამარჯვება უზრუველყოფილია, რადგან იგი იმყოფება ჩვენი ბელადის დიდი სტალინის ხელში.

ქართული კინო-ხელოვნების აღმავლობისათვის

დღეს ჩვენი გაზეთი ათავსებს წერილებს ქართული კინო-ხელოვნების ერთ-ერთ შესანიშნავ წარმოებაზე, რესპუბლიკის სახალხო არტისტის რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის მიერ დადგმულ ისტორიულ კინოფილმზე „გიორგი საკაძე"-ზე, რომელიც ამჟამად თბილისის კინო-თეატრებში მიდის და რომელმაც მთელი საბჭოთა პრესის, მრავალმილიონიანი საბჭოთა მაყურებლის საყოველთაო მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

თბილისის კინო-სტუდიის შემოქმედებითს აღმავლობაში „გიორგი საკაძე" არის ახალი საფეხური, რომელსაც ქართული კინო-ხელოვნება მწვერვალებისკენ მიჰყავს. ეს ფილმი შესანიშნავია არა მარტო იმ მხრით, რომ ზრავალმილიონიან საბჭოთა აუდიტორიას აცნობს ქართველი ხალხის გმირულ წარსულს, მის დიდ მოღვაწეთა უმძაფრეს პატრიოტულ სულისკვეთებას და თავდადებას მამულისათვის, არამედ იმ მხრივაც, რომ იგი დამაჯერებელ მხატვრულ ფორმებში ეწევა ქართველი ხალხის დიდი სულიერი და მატერიალური კულტურის პროპაგანდას.

დღეს, როცა საბჭოთა ხალხის არმია, წითელი არმია წარმატებით ანადგურებს ფაშისტი ბარბაროსების ურდოებს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი მკერდით სდგას სამშობლოს დასაცავად—ასეთ ისტორიულ დღეებში ჩვენ გვამხნევებს და ძალას გვმატებს გახსენება ჩვენი წინაპრების, რომელნიც წარბშეუხრელად იბრძოდნენ ქვეყნის თავისუფლებისა და ღირსებისათვის, კულტურის დაცვისა და შენარჩუნებისათვის.

„გიორგი საკაძე" აფართოებს რა საბჭოთა მაყურებლის წარმოდგენას ქართველი ხალხის ბრძოლით აღსავსე ისტორიულ წარსულზე და მისი კულტურის საგანძურზე, ხელს უწყობს ხალხთა სტალინური მეგობრობის განმტკიცებას, მოძმე ერების ურთიერთთან დაახლოებას და სულიერ დანათესავებას.

უდავოა, ამ თავის დიად და ეპატიო დანიშნულებას ფილმი — „გიორგი საკაძე" ვერ შეასრულებდა, რომ მხატვრულად იგი ძლიერი არ ყოფილიყო. ფილმის იდეური ღერძი უზრუნველჰყო მისმა მაღალმა მხატვრულმა ფორმამ.

ჩვენი კინო-სტუდიის უახლოესი მუშაობის პროგრამა ვრცელი და მრავალფეროვანია. უტყუარი საწინდარი იმისა, რომ იგი ამ პროგრამას ხორცს შეასხამს და შეჰქმნის არა ერთსა და ორს, ნამდვილად მხატვრულ კინო-ნაწარმოებს არის ის უშუალო ორგანიული კავშირი, რომელიც კინო-ხელოვნების მუშაკებს, კინო-რეჟისორებს, კინო-ოპერატორებს და მსახიობებს აქვთ ჩვენს გმირულ სინამდვილესთან — სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის გმირ ადამიანებთან.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღეს ქართული კინო-ხელოვნება საზრდოობს და სუნთქავს საბჭოთა ხალხის იმ გმირული ბრძოლით, რომელიც მოწინავე ყაცობრიობას აოცებს. თბილისის სტუდიის ოპერატორებმა და კინო-რეჟისორებმა დაგროვეს უამრავი კინო-დოკუმენტი, რომლებიც მეტყველებენ ჩვენი ხალხის საარაკო საბრძოლო სიმამაცეზე და შრომითს ვაჟკაცობაზე. ეს დოკუმენტები საფუძვლად ედება სრულმეტრაჟიან დოკუმენტალურ ფილმს „ბრძოლა კავკასიისათვის", რომელმაც უნდა გვიჩვენოს საბჭოთა ხალხის და მისი სწორუპოვარი წულადი არმიის ბრძოლა კავკასიის მისადგომის დასაცავად და ქართველი ხალხის მონაწილეობა ამ დიდ ეპოპეაში.

ფართო საზოგადოებისათვის უკვე ცნობილ გეგმის მიხედვით, თბილისის კინო-სტუდია ამზადებს აგრეთვე მხატვრულ ფილმს „მალახოვის მაღლობს", რომელმაც უნდა წარმოგვიჩინოს წითელი არმიის და საზღვაო-სამხედრო ფლოტის მიერ სევასტოპოლის გმირული დაცვის სიდიადე. შორს წაგვიყვანდა ყველა იმ დოკუმენტალური თუ მხატვრული ფილმის ჩამოთვლა, რომელზედაც დღეს თბილისის კინო სტუდია მუშაობს და რომელთა გამოქვეყნება სავსებით დროული და მიზანშეწონილია.

მაგრამ აღვნიშნავთ რა თბილისის კინო-სტუდიის მიმდინარე და მოსალოდნელ ინტენსიურ შემოქმედებითს მუშაობას, ამთავითვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას: თბილისის კინო-სტუდიის შემოქმედებითი პრაქტიკაში დაცული უნდა იქნას შეფარდება, აუცილებელი პროპორცია. ამის მიერ დადგმულ ფილმებში უამეტესად უნდა სჭარბობდეს მხატვრული ფილმები საქართველოს თანადროული სინამდვილის და ისტორიული წარსულის მასალაზე აგებული. სოციალისტური შინაარსი ფილმებმა უნდა გადმოგვცენ ნაციონალური ფორმით, ე. ი. მათში უნდა სჩანდეს ქართველი ხელოვანის ტემპერამენტი, ქართული ფერწერის, ქართული ნახატის, ქართული მუსიკალური ჰანგის სპეციფიკა, ყოველივე ის, რაც ჩვენს კინო-ხელოვნებას ანსხვავებს და გამოარჩევს ჩვენი მოძმე ხალხების ხელოვნებისაგან და რაც ქართულ კინო-ნაწარმოებს ესოდენ მიმზიდველად ჰხდის ყველა ერების მაყურებლისათვის. ამ მხრივ თბილისის კინო-სტუდიამ უნდა განაგრძოს და გააღრმავოს ის ტრადიცია, რომელიც ყველაზე მკვეთრად გამოჩნდა რეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას ფილმში „ელისოში", მიხეილ ჭიაურელის „არსენასა", „დიდ განთიადსა" და „გიორგი საკაძეში". სადაც ჩვენი ეროვნების დიდი საკაცობრიო იდეები მოცემული არიან ნაციონალური იერით და კოლორიტით. ამ გზით უნდა წარმართოს მომავალშიც მუშაობა თბილისის კინო-სტუდიამ.

ქართველი სახალხო გმირი ეკრანზე

„გიორგი საკაძე“

შალვა გუაჩიძე

არც ერთ ქართველ გმირზე არ დაწერილა იმდენი მხატვრული ნაწარმოები, რამდენიც გიორგი საკაძის შესახებ დაიწერა. საკაძის თემა დიდი პოპულარობით სარგებლობს ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

უკანასკნელად გიორგი საკაძე ხორცშესხმული ვნახეთ კინოში. ამ ერთი წლის წინათ გამოქვეყნდა ფილმის პირველი სერია, ხოლო ამჟამად თბილისის ეკრანზე უჩვენებენ „გიორგი საკაძის“ მეორე სერიას. ფილმი დადგმულია ა. ანტონოვსკაიას და ბ. ჩორნის სცენარით რეჟისორ მიხ. ჭიაურელის მიერ.

მოთხრობისა და რომანის ყოველგვარი გადაკეთება დრამად თუ კინო-სცენარად ძნელი და სახიფათო საქმეა. ძნელი იყო ა. ანტონოვსკაიასთვისაც კინო-სცენარად გადაეკეთებია თავისი რომანი. მაგრამ ავტორს ასულდგმულებდა ერთი, ძირითადი, მთავარი აზრი —სრულყოფილად მიეტანა მაყურებლამდის მიმზიდველი სახე გმირი სარდლისა, დაეცვა დრამატურგიულ ჩონჩხში მისი ხასიათის თვი-



ბადრის კოსტიუმის ესკიზი. ნახ. თ. აბაკელიანი. ფილმიდან „გიორგი საკაძე“.

სებები—სიმამაცე და სულიერი სიღრმე, უანგარო თავდადება და რაინდული სიყვარული თავისი ხალხისა და ქვეყნისადმი. ავტორი იძულებული იყო უარი ეთქვა ზოგიერთ დეტალებზე, რომელთაც ესოდენი მნიშვნელობა აქვთ მოთხრობაში, უარი ეთქვა მეორეხარისხოვანი პერსონაჟების ზუსტად დამუშავებაზე, ოღონდ მთლიანად მისულიყო მაყურებლამდის სახე გიორგი საკაძისა, ამ უბადლო მხედართმთავრისა და პატრიოტისა, რომელმაც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას შესწირა ყველაფერი: თავისი სახლიც, ოჯახიც, თავისი მგზნებარე, დაუდეგარი სიცოცხლეც.

ეს ამოცანა ა. ანტონოვსკაიამ მოხერხებულად გადასჭრა. მან უბრალოდ ადგილი კი არ შეუნაცვლა თავის გმირს და მექანიკურად კი არ გადაიყვანა იგი რომანიდან ეკრანზე. ა. ანტონოვსკაიამ შეარჩია გიორგი საკაძის ცხოვრების ძირითადი, ყველაზე ამაღელვებელი მომენტები, დაგვანახვა მისი ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები. ამან სცენარს მისცა სახე ისტორიული ქრონიკისა, სადაც სიუჟეტი—თვით გმირია.

ჯერ კიდევ ფილმის პირველ სერიაში გვიჩვენა მ. ჭიაურელმა თავისი ოსტატობა. მეორე სერიაში ეს ოსტატობა უფრო ფრთაშესხმული, უფრო წარმტაცი სახით წარმოგვიდგა. მეორე სერია განსხვავდება პირველისგან რეჟისორის ფანტაზიის მეტი გაქანებით, დეტალების უფრო ღრმად დამუშავებით, კადრებში მეტი აზრობრივი და ემოციური შინაარსის ჩაქსოვით. ამასთან მთელი ფილმი აღბეჭდილია კარგი გემოვნებითა და პოეტური გზნებით.

მ. ჭიაურელმა შესძლო შეექმნა ნამდვილად პატრიოტული ფილმი, რომელიც ქართველი ხალხის წარსულ გმირულ ბრძოლაზე მოგვითხრობს. მოუხედავად სიუჟეტის ელემენტარულობისა, ფილმი „გიორგი საკაძე“ აღსავსეა ღრმა და მნიშვნელოვანი აზრით, ღრმა და მნიშვნელოვანი იდეებით. რეჟისორი ამ აზრებს ანვითარებს სიუჟეტურ კვანძში ჩართულ ისტორიულ მოვლენათა არა დეტალური ჩვენებით, არამედ თვითეული სიტუაციის, თვითეული კადრის აზრობრივი სიმდიდრით, იმ პლასტიკურ საშუალებათა სიღრმითა და ცხოველმყოფელობით, რასაც მ. კინო-ხელოვნება ანიჭებს.

მ. ჭიაურელმა შეჭმნა დიდი პოეტური ძალის მქონე ფილმი. ფილმის გადაღებას წინ უძღოდა ფართო მოსამზადებელი მუშაობა — მატიანეს, ისტორიული შრომების, ხალხური სიმღერისა და გადმოცემების შესწავლა. შინაარსის სისწორის მხრივ რეჟისორი გაჰყოლია მატიანეს, დაწვრილებით აღუბეჭდავს რა ფილმში საკაძის საქმეთა ისტორიული ნიშნები. ფორმის ძიებისას კი მას უხელმძღვანელებია ქართული ნაციონალური ეპოსის შესანიშნავი ძეგლით — იოსებ თბილელის „დიდმოურავიანით“, რომელიც გიორგი საკაძის ცოცხალ სახეს გვიხატავს. ისტორიისა და პოეზიის ამ სინთეზისაგან წარმოსდგება ის პოეტური ფორმა, რომელშიაც ჩასმულია ფილმი „გიორგი საკაძე“. ამით აიხსნება, რომ სურათის ყველა კადრი ქართველი ხალხის პოეტური აღმაფრენით, ქართული ბუნების სიდიადით არის გამსჭვალული.

„გიორგი საკაძეში“ ასახულია ქართველი ხალხის სამამულო ომი ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. სურათი უმღერის ჩვენი ხალხის მებრძოლ სულს, მის კეთილშობილურ სიყვარულს სამშობლოსადმი. მაღალ პატრიოტული იდეა საუცხოოდ არის ხორცშესხმული. მონაწილეობა ნაციონალური ფორმა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხელოვნების განვითარებისათვის.

ა. ანტონოვსკაიას მიერ კარგად დაწერილმა ასპექტებმა, მიმზიდველმა სიუჟეტმა, სცენარის ახოვანმა ენამ საშუალება მისცეს მ. ჭიაურელს შეექმნა კინემატოგრაფიის პირველხარისხოვანი ნაწარმოები, რომელშიაც ნაჩვენებია არა მარტო ამბები, არამედ ხასიათთა შეჯახებანიც. „გიორგი საკაძეში“ კიდევ უფრო განკითარდა მ. ჭიაურელის ნიჭის თავისებურებანი, მისი საუცხოო უნარი ტრაგიკულისა და კომიკურის ჩვენებისა. შეიძლება ითქვას, რომ ხალხური ჰუმორი — მისგილ ჭიაურელის სტიქია. მას საუკეთესოდ გამოუყენია კადრები ხალხის ცხოვრებიდან, კარგად ეხერხება ხალ-

ხური ხასიათების დახატვა. ფილმში ბევრია ეპიზოდი, რომელთაც დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალს მაყურებელი.

რეჟისორის განზრახვის მნიშვნელოვანი ნაწილი ხორცშეუსხმელი დარჩებოდა, რომ მას ღირსეული დამხმარენი არ აღმოჩენოდა მხატვრების მ. გოცირიძის, რ. მირზაშვილის, ლ. შამელაძის, კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძისა და ოპერატორ ა. დიღმელოვის სახით. ფილმის გაფორმებაში გამოყენებულია ქართული და ირანული არქიტექტურა, საქართველოს ნათელი პეიზაჟი, ძველი ქართული ორნამენტი. მშვენიერია კოსტუმები, რომლებიც ბეთანიისა და მცხეთის განთქმულ ფრესკებიდან არის გადმოღებული.

ა. ბალანჩივაძის მუსიკა, მგზნებარე, ამაღლებული, ემოციური, — ღრმად სწვდება მსმენელის გულს და ეხმარება მსახიობთ სახეების გახსნაში. იგი გამსჭვალულია ხალხური სულით, მისი ინტონაციებით, რადგან ფილმში მთავარი მამოძრავებული ძალა ხალხია, რომელსაც ხელმძღვანელობს გიორგი საკაძე.

მაღალი შეფასების ღირსია ოპერატორის მუშაობა. ლამაზად არის გადაღებული საქართველოს ბუნება, მასობრივი სცენები, ბრძოლის ეპიზოდები.

„გიორგი საკაძეში“ რთული ამოცანა იდგა მსახიობთა წინაშე. ეს ფილმი შემსრულებელთაგან მოითხოვდა თამაშის განსაკუთრებულ მანერას: გადაკრით უარის თქმას ნატურალისტურ დეტალებზე. ყოფითი ეუსტეტი, საყოფაცხოვრებო ინტონაციებზე. საჭირო იყო თამაშის ამაღლებული სტილი, ფართო, თავისუფალი ეუსტეტ, ყოფითი კოლორიტს მოკლებული ინტონაცია, კეთილშობილური თავშეკავება, ტრაგიკული მგზნებარება.

გიორგი საკაძის როლის შემსრულებელს აკაკი ხორავას უნდა მოეცა სახე გმირი სარდლისა, რომელსაც მხურვალედ უყვარდა თავისი ხალხი, თავისი სამშობლო, რომელიც გაბედულად იბრძოდა ქვეყნის გარდაქმნისათვის. მაგრამ დიდი მოურავი არა მარტო მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე იყო; ის იყო ძლიერი ნებისყოფისა და გრძნობის ადამიანი, — უბრალო, გულისხმიერი, მორიდებული. მთელი თავისი მხურვალე გრძნობა, მთელი თავისი დაუდეგარი ენერგია მან სამშობლოს განთავისუფლების საქმეში ჩააქსოვა. მას შესწირა მან მსხვერპლად თავისი პირადი ბედნიერება, თავისი საყვარელი შვილი. დიდი მოურავი ხალხის თვალში დარჩა, როგორც დიდი სახალხო გმირი, სამშობლოსათვის თავდადებული. იგი იყო კეთილშობილი რაინდი, საუკეთესო მეგობარი, ამხანაგი, მოსიყვარულე მამა.

სწორედ ასეთად ჰყავს წარმოდგენილი საკაძე აკაკი ხორავას. მისი თამაში გამთბარია დიდი შინაგანი ცეცხლით და მიმზიდველობით და, რაც მთავარია, დამაჯერებლობით. უბრალოება და გულწრფელობა, სიდიადე და კეთილშობილება — აი რა ახასიათებს აკაკი ხორავას გიორგი საკაძეს.

საკაძის როლი დიდ ტრაგიკულ სიმაღლემდე ჰყავს აყვანილი მსახიობს. შესანიშნავია თავისი ემოციური ზეგავლენით კადრები, სადაც ხორავა-საკაძე პაატას მოკვეთილ თავს დასტირის, შემდეგ — როცა რუსუდანს ამცნობს შვილის დაღუპვის ამბავს. დიდი შინაგანი მღელვარებით არის აღსავსე უკანასკნელი კადრებიც, სადაც საკაძე თავის დაღუპულ მეომრებს ეთხოვება და სამშობლოს ემშვიდობება. ის სტოვებს თავის ქვეყანას, სადაც ესოდენი ტანჯვა მიაყენეს მას; საკაძეს თან მიაქვს უცხოეთში სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული იმ იმედით, რომ როდისმე გამოჩნდებიან სხვა მებრძოლები, რომლებიც შესძლებენ ქვეყნის ორგულთა დათრგუნვას და საყვარელი სამშობლოს გაერთიანებას.

ქართველი დედისა და მეუღლის უაღრესად რელიეფური, სკულპტურულად გამოკვეთილი სახე შეჰქმნა ვერიკო ანჯაფარიძემ. ქართული სცენის შესანიშნავმა ოსტატმა კინოშიაც არ უღალატა თავის თავს. მისი მგრძნობიარე, გულში ჩამწვდენი თამაში კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რა გრწყინვალე არტისტული ძალა ჰყავს მისი სახით ქართულ საბჭოთა ხელოვნებას. რა შესანიშნავია კადრები, სადაც ცეკვით გართული რუსუდანი შვილის დაღუპვის ამბავს გაიგებს! ანდა ის მომენტი, როცა იგი შვილის მოკვეთილი თავით ჩაუვლის ქართველთა ლაშქარს, რათა მტრისადმი სიძულვილით, სამაგიეროს გადახდის გრძნობით აღანთოს მებრძოლები.

საერთოდ, აქტიორული შესრულება ფრიად მაღალ დონეზე დგას „გიორგი საკაძეში“. და-

რუსუდანის კოსტიუმის ესკიზი. ნახ. თამარ აბაკელიანი. ფილმიდან „გიორგი საკაძე“

ყვირვებით და დიდის ტაქტით თამამობენ აკ. ვასაძე (შაჰ-აბასი), ს. ზაქარიაძე (შადიმან პაჩიათაშვილი), ა. ოქიაძე (ზურაბ ერისთავი). კარგები არიან გ. დავითაშვილი (კათალიკოსი), ს. ბადაშვილი (ლუარსაბი), ლ. ასათიანი (თეკლე), გ. შარაშიძე, ზ. ლეჟავა (საკაძის შვილები). მათ მიერ შექმნილი სახეები დიდხანს ჩაჩერა მეხსიერებაში.

ბევრი რამ იზიდავს მაყურებელს „გიორგი საკაძეში“ — სიუჟეტი, ძლიერ ხასიათთა შეჯახება, მშვენივრად გადაღებული კადრები, მსახიობთა მოხდენილი თამაში. მაგრამ ყველაზე უფრო ძვირფასია ფილმის მაღალი პატრიოტული იდეა, მისი ნამდვილი ხალხურობა. ეს ფილმი შექმნილია ნიჭიერი ადამიანების მიერ. ნამდვილად ნიჭიერი ნაწარმოები კი ყოველთვის იმარჯვებს.

აკაკი ხორავა დიდი მოურავის როლში

დ. ჯანელიძე

„კინო-რეჟისორი“ მიხეილ ჭიაურელი თავისი ახალი ფილმის მეორე სერიაშიაც დიდ სარბიელს და გასაქანს აძლევს დრამის მსახიობს და ამდენად ეს კინო-სურათი აღბეჭდავს ჩვენი დროის დრამატიული სახიობის ძალას და შეხაძლებლობას.

აკაკი ხორავას და რეჟისორს მიზნად დაუსახავთ — დიდი მოურავის ტრაგედიის განსახიერებით გარკვეული ისტორიული ვითარების ჩარჩოში ქართველი მხედართმთავრის განზოგადოებული სახე გვიჩვენონ.

ამ ამოცანის განსახორციელებლად აკაკი ხორავას იშვიათი მონაცემები მოეპოება. მისი ვეუკაცური წარმოსადეგობა, მისი ხმის ძლიერება და მიმზიდველი ტემბრი, განსახიერების დაუცხოომელი ენერგია, რიტმის გრძნობა და მოძრაობის კეთილშობილი ტონი დიდი მოურავის განსახიერებისათვის ზედ გამოჭრილი აღმოჩნდა. აკაკი ხორავას მიერ შექმნილი გიორგი საკაძის გარეგნული სახიერება ემთხვევა ხალხის წარმოდგენას თავის საყვარელ გმირზე და ამიტომაც არის, რომ, გაჩოჩდება თუ არა ეკრანზე მისი სახე, მნახველი თავის მოწონებას აღტაცებული ტაშიხცემით გამოსთქვამს.

აკაკი ხორავა დიდ მოურავს ანსახიერებს, როგორც უაღრესად ტრაგიკულ პიროვნებას. განსაკუთრებით გატაცებით თამაშობს მსახიობი გიორგი საკაძის ხალხთან შეხვედრის კადრებში, რადგან სწორედ იქ იგრძნობა უაღრესი სიმწვავით გმირის განცდები. უცხოეთიდან დაბრუნებული დიდი მოურავის შეხვედრა ხალხთან ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს. მსახიობის

სსრკ სახალხო არტისტი აკ. ხორავა დიდი მოურავის როლში.

ვერიკო ანჯაფარიძის რუსუდანი

შ. ალხაზიშვილი

ქართული სცენის შესანიშნავი ოსტატი ვერიკო ანჯაფარიძე იმავე დროს გასაოცარი და თავისებური კინო-მსახიობია. როგორც რამპის ცივი სინათლე, ისე აპარატის მცხუნვარე შუქი მისთვის უჩვეულო და უცხო არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ქართული კინო-ხელოვნების დაბადების პირველ დღიდან-ვე თამაშობს იგი აპარატის წინ. მის მიერ კინოში შექმნილი სახეები უმთავრესად სრულიად დამოუკიდებელია.

„გიორგი საკაძეში“ ვ. ანჯაფარიძის მიერ წარმოდგენილი დედა უთუოდ ტრაგიკული სახეა. ერთის მხრივ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხაზით, იგი ღრმა პატრიოტული გრძნობით არის გამსჭვალული, მეორე მხრივ, ბიოლოგიურის ხაზით, იგი ორი შვილის დედაა, რომელთაგან ერთი, ყველაზე უმცროსი — პაატა, მსხვერპლად ეწირება სამშობლოს. ასეთ ხასიათში ამ გარემოებამ შეიძლება გაორება გამოიწვიოს და, ერთი მთლიანი ხასიათი ცალკეულ, დამოუკიდებელ ნაწილებად გაიყოს. რუსუდანი ერთ მთლიან მარმარილოსაგან არის გამოქანდაკებული. მისთვის „ორგი, პაატა, სამშობლო ერთი ცნებაა.

ეი დამთავრდა სურამის ბრძოლა და გიორგი საკაძე ბრუნდება ნოსტეში. როგორა ხვდება რუსუდანი გამარჯვებულ მოურავს? გულწრფელი სიხარული და უსაზღვრო სიყვარული გამოიხატება რუსუდანის მხოლოდ ერთ ძახილში: „გიორგი!“ დაეკვირდით ამ ძახილის ბგერის ნიუანსებს, მის ტონს და ამაში მთელი გამარჯვებული საქართველოს, დიდა-სამშობლოს ძახილს იგრძნობთ.

ნოსტეში, როცა მეფე საკაძის დარბაზში ქეიფობს, ვ. ანჯაფარიძე თავის მიერ შექმნილი მრავალმხრივი ხასიათის სულ ახალ მხარეს ხსნის ჩვენს თვალწინ. რუსუდანი თავის შვილებს დასტრიალებს, იგი სიამაყით არის აღსავსე, დიადაც ამაყობს იგი მეფისა და მთელი სამშობლოს წინაშე, ასეთი შესანიშნავი შვილები რომ დაზარდა.

დაუვიწყარია შემდეგი ეპიზოდი. მოუსვენარი შავი ღამეა, ისეთი, როგორსაც ასე ფენომენალურად ხატავს შექსპირი თავის „მაკბეტში“. რუსუდანს არა სძინავს, რაღაც წინათგრძნობა აღელვებს, რაღაც აკს ელოდება. და მართლაც, მრისხანე ფეოდალი შადიმან პაჩიათაშვილი შეესია ნოსტეს. რუსუდანი ისევ თავის შვილებთან არის, იგი კვლავ თავს დასტრიალებს მათ. ამ სცენაში დედის გრძნობა თითქმის ფიზიოლოგიურ ტკივილამდე აღწევს, ისეთი სიძლიერით აქვს ვ. ანჯაფარიძეს გადმოცემული იგი.

ამის შემდეგ სიმფონიასავით იშლება ვ. ანჯაფარიძის თამაში. ტრაგიკული ჰანგები უფრო და უფრო ძლიერდებიან და ანიმაღლიეს კიდეც მათ თავიანთ „კრეშენდოს“: „რა ბანიზრახე, გიორგი?“ ნერვიულობს რუსუდანი შაჰ-აბაზის პალატებში., იგი შინაგანი მიხვედრილობით, ინტუიციით გრძნობს, რომ გიორგი რაღაც ბნელად გამოსასწორებელ შეცდომას ჩაიდენს. პაატას ესპაჰანში დატოვების ამბავი ძლიერ შეშფოთებას იწვევს. „ჩემი პური, ჩემი დღე, ჩემი ბიჭუნა“, ასეთი უშუალო გრძნობით გაჰკივის შექსპირის ლედი კონსტანცია („მეფე ჯონი“), შვილისათვის ტანჯული და მებრძოლი დედა. და მართლაც, ყველაფერი პატარა არტურისთვისაა: სიყვარული, გრძნობები, ბრძოლა, სიცოცხლე. ასეთივეა ვ. ანჯაფარიძის რუსუდანი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი კონსტანციასავით არა კენესის, არა ტირის: ანთებულ სანთლების მკრთალ სინათლეში იგი ლოცულობს. და შემდეგ დიდი პლანი,— კინემატოგრაფიის ეს საუცხოო მხატვრული ხერხი: მარმარილოს, უძრავი, მკვეთრი სახე შავ მოსასხამის ჩარჩოში (იგივე კინო-კადრის ჩარჩო)... და უკანასკნელი აკორდი — რუსუდანს სახეზე ძაძა ჩამოეფარება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვ. ანჯაფარიძის მიერ შექმნილი დედის სახე დიდი შექსპირის გენიით არის შთაგონებული. აქ „კორიოლანუსის“ ქალები ისევ თვალწინ დგანან, მაგრამ რუსუდანი არც ვირგილია, არც ვოლუმნია, რუსუდანის ხასიათში უთუოდ ვოლუმნიას და ვირგილიას ზოგიერთი ცალკეული ნიუანსები ერთს ფსიქოლოგიურად ჰარმონიულ, კომპოზიციურად შეკრულ სახეში ერთდებიან.

უკანასკნელ ეპიზოდში, პაატას მოკვეთილ თავთან სცენაში ვ. ანჯაფარიძე ტრაგიკული ხელოვნების მწვერვალს აღწევს. ჯერ კიდევ ცეკვის და ლხინის ღიმილი არ მოჰშორებია მის ქანდაკისებურ სახეს, ჯერ კიდევ სიხარულის რიტმის ტალღებშია იგი, როდესაც შემაძრწუნებელი, თავზარდამცემი ამბავი მის ყურს, და თვალს მეხივით დაეცემა; ღიმილი არა სტოვებს მის სახეს. აკი აღსრულდა მისი წინათგრძნობა: პაატა მკვდარია, თავმოკვეთილი, ღიმილი კი შავი ჩრდილივით ჩაწოლილა პირისახის კუთხეებში და აღარ შორდება მას.

მაგრამ ყველაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს ვ. ანჯაფარიძე უკანასკნელ, ფინალურ სცენაში, როდესაც რუსუდანი პაატას მოკვეთილი თავით ხელში მიდის ნელი ნაბიჯით, მიდის შეუჩერებლივ, მიდის უსაზღვროებამდე, მიდის უკუნეთამდე... და ეს შთაბეჭდილება არა სტოვებს მაყურებელს დიდხანს, კინო-თეატრიდან გამოსვლის შემდეგაც. ცეცხლივით ანთებული გულის გამოუთქმელი მწუხარება ისეთ ტრაგიკულ ძლიერებამდე არის მიღწეული, რომ ვ. ანჯაფარიძის ეს სცენა უნებურად გვაგონებს ცნობილ კინო-სურათის „ნიბელუნგების“ იმ სცენას, სადაც კრიმჰილდა მომაკვდავ ზიგფრიდის სარეცელთან გაუნძრეველ ქანდაკებასავით ზის, რადგან „გადიდებულს ტანჯავს მისას აღარ ჰქონდა ტულში ტევა“.

ასეთია ნამდვილი ხელოვნების ძალა.

ძველი ქართული ფრესკა და თანამედროვე ხელოვნება

ნ. ტოლმაჩევსკაია

ფრესკული ტექნიკით შესრულებულმა კედლის ფერწერამ უდიდესი როლი ითამაშა ძველი საქართველოს მხატვრული კულტურის ისტორიაში. ეს იყო კოლექტიური ხალხური შემოქმედება, რომელიც თითქმის ათასი წლის მანძილზე ვითარდებოდა და რომელიც ოფიციალურ მხატვრობად გადაიქცა.

მხატვრული ფორმების მხრივ ეს იყო დიდი სტილის ხელოვნება, რომელიც წარმოიშვა ძველი მსოფლიოს ხალხთა, უმთავრესად აღმოსავლეთის ხალხთა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების ნიადაგზე. საქართველოში ნაყოფიერად იხარა ამ სტილის მძლავრმა შტომ და მასზე გაიფურჩქნენ ნაციონალური თავისებურებით აღბეჭდილი და აღმოსავლური სურნელებით გაჟღენთილი ხელოვნების ყვავილები.

არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება მონუმენტური ფერწერის იმდენი ძეგლი, რამდენიც საქართველოს პატარა ტერიტორიაზეა გაფანტული. ამ ძეგლებმა საქართველო გადააქციეს ერთგვარ დიდ მუზეუმად, სადაც დაგროვილია და დაცულია საუკეთესო აზრები ფერწერის სახეების სილამაზეაა და სიდიადეზე, მხატვრული იდეალები როგორც თვით საქართველოში, ისე მასზე ბევრად ადრე მცხოვრებ ხალხებისა. გრძელ გზაზე, რომელიც ფრესკამ განვლო იმ დროიდან, სანამ იგი ბიზანტიის მემკვიდრეობის სახით საქართველოში შემოიჭრებოდა, მან შეისისხლხორცა მრავალი ხალხის ხელოვნების თვისებები.

იქნებ ჯერ კიდევ ეგვიპტემ დასახა ამ სტილისთვის დამახასიათებელი, მრავალი ფორმის განყენებულება, პირობითობა, სტილიზაცია? ჩინეთმა ხომ არ მოგვცა ზუსტი ხაზი, რომელიც თითქოს ამოჭკვეთს სიპრტყეს? ხომ არ შეუტანიათ ინდოეთს, ირანს თავიანთი წვლილი ხელოვნებაში ნათელ-ჩრდილს მოკლებული მთების სახით, უაარეკლო წყლის სახით, ისეთი სახლის სახით, რომელსაც წინა კედელი არა აქვს, რის გამოც შესაძლებელია ყოველივე იმის დანახვა, რაც შიგნით ხდება?

ბიზანტიის ჩვენამდე მოღწეულ მე-5 საუკუნის დიდებულ მოზაიკაში უკვე ხვდებით ამ თვისებებს. აღმოსავლეთის მხატვრულ ფერადოვნებას ბიზანტიამ დაურთო ანტიური მემკვიდრეობის ძალა და სიდიადე და საბოლოოდ დაამკვიდრა ის სტილი, რომელიც შემდგომად, ზოგიერთ პერიოდში, მძლავრ გავლენას ახდენდა ევროპელთა ხელოვნებაზე. ანტიურმა მემკვიდრეობამ უპირველეს ყოვლისა თავი იჩინა მთელი კომპოზიციის ხაზების რიტმიკაში. ძლიერი სულიერი მღელვარება გადმოიცემა არა სახის გამომეტყველებით, არამედ ფიგურების ეობრაობით და ჟესტებით. კონტურულად გამოსახული სამოსის ნაკეცები ხაზს უსვამენ მოძრაობას. ვერტიკალურად ამვერილი ხელები, ზედაპირობილი თვალები, ვერტიკალურად მიმართული ნაოჭები გვიხატავენ ერთის წადილით გაერთიანებულ აღელვებულ მასას. გარეთხმული ფიგურები სხეულების მთელი ხაზებით და სამოსის ნაკეცებით საერთო დაძაბულებას გადმოგვცემენ. ერთ ხაზად ჩარიგებული და ერთი მოძრაობით გაერთიანებული ხელები წინგაშვერილი ისრებით გამოხატავენ ორი ძალის შეტაკებას ბრძოლაში. ხშირად მთების თუ ხეების მოხაზულობა შეფარდებულია ფიგურების მოძრაობასთან: მთების თუ ხეების კენწეროები გადახრილნი არიან იქითკენ, საითკენაც ადამიანებს თავები აქვთ გადახრილი.

თავების სიმაღლის ერთ ხაზზე მოცემა, კომპოზიციის გეგმების სიმეტრია გვაგონებს ანტიურ სარკოფაგებს, ფრიზებს, ფრონტონებს, რომელთა გამოსახულებაც საფუძვლად დაედო ბიზანტიურ ფერწერას, ხოლო მისი მეოხებით იგი საქართველოს გადმოეცა.

ხომ არ იქონია გავლენა ანტიურმა ვაზურმა ფერწერამ მხატვრული გამოსახულების სიბრტყითის ხასიათზე, გაკვრით, ერთი ხის ან ერთი ბუჩქის სახით, მოცემულ პეიზაჟებზე, ისევე როგორც ერთი-ორი სახლის ან მხოლოდ მათი ელემენტების სახით მოცემულ არქიტექტურულ ლანდშაფტზე? საფიქრებელია, რომ ვაზური ფერწერიდან მიმდინარეობს მხატვრული ენის არამრავალფერადოვნებაც და საერთოდ ლაკონიზმი.

ეჭვს გარეშეა, რომ ძველი ფრესკის ბევრი ნიმუშის შექმნას საფუძვლად ანტიური ფერწერა დაედო. ოვალური სახეები სწორი ცხვირებით, თავვარცხნილობა, რომელიც ხან აპოლონს, ხან ანტინოის გვაგონებს, ანგელოზები, რომელნიც გამარჯვების ქალღმერთ ვიქტორიების მსგავსად ჰაერში დანავარდობენ, წარმოსასხამები, ხიტონები, სანდალიები, კვერთხები, მხრებზე გადაგდებული ქსოვილები — ყველაფერი ეს ნაცნობია საერთოდ ანტიური ფერწერით და კერძოდ ვაზური მოხატულობით.

ქართველმა ოსტატებმა აითვისეს ამ მემკვიდრეობის **საუკეთესო მხატვრული** ნიმუშები. ისინი მტკიცედ მიმართავენ კედლის დეკორაციის სიბრტყეზე გადაჭრას, რიტმიულად ანაწილებენ კომპოზიციის ხაზებს და ჰარმონიის გრძნობით უფარდებენ წარმტაც ფორმებს შენობის არქიტექტურულ თავისებურებას. არქიტექტურული და ფერწერული შთანაფიქრი ერთ მთლიან სახეს ღებულობს.

ამასთან ქართველი ოსტატები არა ხდებიან მორჩილ მიწაფეებად, რომელნიც ბრმად იმეორებენ ბიზანტიის გაკვეთილებს, საუკუნეებით შემუშავებულ ძვირფას ტექნიკურ ნაკეთ ანთი ნაციონალური თავისებურებანი შეაქვთ. ეს **პირველად** ყოვლისა გამოიხატება მეთოდების არჩევაში: ხანი განსაკუთრებულ როლს თამაშობს და მე-12 საუკუნეში, ხელოვნების აყვავების პერიოდში, იგი კალიგრაფიულ სიზუსტეს და გარკვეულობას აღწევს (ბეთანია. ყინწვისი, ტიმოთეს უბანი და სხვ.). ნაციონალური თავისებურება გამოიხატება ტანისამოსში, სახლის მორთულობაში, არქიტექტურაში. ქართული მოხატულობის განსაკუთრებით დამახასიათებელ თვისებას შეადგენს უაღრესი ინტერესი პორტრეტულ გამოსახულებისადმი. ამ ფერწერის მთელს გზაზე პორტრეტი დიდ როლს თამაშობს.

მე-10 საუკუნეში უკვე ვხვდებით მრავალ პორტრეტს ატენისა და ბეღდის ეკლესიის კედლებზე, მათს მოხატულობებზე. ესენი არ არიან მარტო მეფეები, თავადები და სხვა წარჩინებული ფეოდალები—ეკლესიების მშენებელნი. ბედიაში, მაგალითად, არის მხატვრის პორტრეტიც. იგი ალბათ, ავტოპორტრეტია.

მე-16 საუკუნეში, ბიზანტიური გავლენის მოსპობის შემდეგ, ქართული ფერწერის წინაშე ისახება პრობლემა—გამოსძებნოს დამოუკიდებელი გზა მონუმენტური ფერწერისაკენ. და იგი გამოდის კიდეც ასეთ გზაზე, აძლევს რა გასაქანს იმ თვისებებს, რომლებსაც საძირკველი ჩაეყარათ განვითარების პირველ პერიოდში. პორტრეტული გამოსახულება აღარ კმაყოფილდება ეკლესიის კედლებით. იგი ავსებს ეკლესიის ეკვდერებს. იმდენად ავსებს, რომ ისინი ხშირად პორტრეტების თვისებურ გალერეებად ხდებიან. ასეთ რამეს ვხვდებით სოფ. წალენჯიხის მე-16 საუკუნის ეკვდერებში.

საზეიმო პორტრეტებთან ერთად ჩნდებიან უფრო რეალისტური, უფრო საყოფა-ცხოვრებო ფიგურები. მათ ამშვენებთ სიყვარულით შესრულებული სახიანი ტანისამოსი. დამახასიათებელი თავის სამკაული, რომელთაც შესცვალეს წინანდელი მდიდრული ბიზანტიური სამოსელი. დედებს ხელით ბავშვები მიჰყავთ, ასეთ სურათებს თითქმის ვერ შეხვდებით ადრინდელ მოხატულებებში. ბოლოს ჩნდება, მართალია, საკმაოდ მოკრძალებით, ისეთი ელემენტი. რომელიც ადრინდელ მოხატულებებში ყოვლად დაუშვებელი იყო — ჩნდება იუმორი. იმავე წალენჯიხის ეკლესიაში მე-16 საუკუნის ერთ-ერთ ეკვდერში არის გამოსახული მზარეულთა უფროსი, რომელსაც ეს პატივი და თანამდებობა ალბათ, თავისი პროფესიული ღირსებების მეოხებით ექნებოდა დამსახურებული. მზარეულთა ამ უფროსს თავს უმშვენებს მდიდარი, ქვებით მოჭედილი სამკაული, ყურებში გაყრილი აქვს საყურეები საკიდურებით. ხელში უჭირავს დიდი ჩამჩა და იმაზე უფრო მომცრო ქაფქირი. ხოლო ყველაზე საინტერესო არის სიმსუქნისაგან დასიებული მისი ლოყები და ჩამოშვებული ღაბაბი. ამგვარად, მხატვარმა მოგვცა კარგი სამჭამის მოყვარული კაცი. თუმცა ასეთი გამოსახულება ხშირად არა გვხვდება, მაგრამ იგი მაინც ცხადყოფს, რომ ქართული ფრესკა, ნაციონალურ თვისებებთან ერთად, დგება რეალიზმის გზაზე, განსაკუთრებით პორტრეტულ ასახულებაში, რომელსაც მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მასში. ფორმებისა და მხატვრული მეთოდების მრავალფეროვნება, ხაზების ლოგიკურობა, ფორმის სინტეზირების და იმავე დროს არსებითის გამოყოფის უნარი, — ყოველივე ეს ძვირფასი თვისება ძველი ფრესკისა შეიძლება საფუძვლად დაედვას თანამედროვე კედლის ფერწერის მძლავრი სტილის შექმნას. მაგრამ თანამედროვე მხატვარმა არ უნდა მიჰბაძოს მონურად ძველ ოსტატებს და არ უნდა დაამახინჯოს ცოცხალი ფორმა იმისათვის, რომ ძველი ფრესკის ნიმუშებს მიამსგავსოს იგი. ლაპარაკია იმაზე, რომ გამოვიყენოთ ზოგიერთი ძვირფასი პრინციპი, რომლებიც ასეთ მნიშვნელობას ანიჭებენ ძველი ოსტატების ქმნილებებს.

ამ პრინციპების შესწავლა ხელს შეუწყობს მხატვარს უკუაგდოს ყველაფერი ის. რასაც შემთხვევითი ხასიათი აქვს, ჩამოიშოროს არაფრის მთქმელი დეტალები და გამოსძებნოს მცირე რაოდენობა ხაზებისა, რომელნიც მოგვცემენ ამა თუ იმ ნიმუშის ამომწურავ დახასიათებას. მხატვარი შესძლებს ეს ხაზები გაამახვილოს, გააძლიეროს იმდენად, რომ მათ კედელზე მოგვცენ დამოუკიდებელი სახე, ხოლო კომპოზიციის ძირითადი სახეები შეუთანხმოს კედლის არქიტექტურულ დანაწევრებას.

ამჟამად, როდესაც ახალი სტილის შესაქმნელად ხდება ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობისა და მხატვრული განძების გადასინჯვა, შეუძლებელია ძველი საქართველოს ფრესკები სათანადოდ არ შეიფასოთ. ეჭვს გარეშეა, რომ ძველი ქართული ფრესკების ყველაზე უფრო თვალსაჩინო პრინციპების გამოყენება დიდ გავლენას მოახდენს მომავლის ხელოვნებაზე. მარტოოდენ შენობათა მოხატულობა როდი გამდიდრდება ახალი თვისებებით, — უფრო ბრწყინვალე ფორმით, ჩვენი ეპოქის უდიდესი იდეების ასახვისათვის საჭირო ფორმით შეიმოსებიან დაზგური ფერწერაც, პლაკატებიც, სპორტ

რ ე ნ ა

ნინო დოლიძე

რენა შეშინებული იყო. ვერც გამგემ, ვერც გამზრდელმა, ვერც ბავშვებმა ვერ მოაცილეს იგი კედელს. ყოველი ახალი ცდისას რენა უფრო მჭიდროდ ეკვროდა კედელს და მეტი უზრუნველყოფისათვის თავის ფუნჩულა თათებით ეპოტინებოდა კედლის პრიალა ზედაპირს, თითქო ცდილობდა რაიმე გამოზნექილი საყრდენი მოეძებნა. არც ერთ შეკითხვაზე არ იძლეოდა პასუხს, ოღონდ სულს ამოითქვამდა და უზარმაზარი ბანტის ზემოდან მარაოსავით გადაშლილ თაფლისფერ თმას აქეთ-იქით გადააქანებდა უარის ნიშნად. ერთის სიტყვით, რენას მთელი პატარა სხეული, მისი ფუნჩულა ხელები, თმა, დიდრონი თვალები,—ყველაფერი უარზე იყო. არც ლაპარაკი ჰსურდათ, არც თამაში, არც მეგობრობა, არც მტრობა. ბავშვები დიდხანს ეცადნენ როგორმე გადაეთქმევინებინათ ამ სიშორიდან ჩამოსული სტუმრისთვის ეს გადაჭრილი განდგომა.

— რენა, აბა გვითხარი, საიდან ჩამოხვედი?

—სად ცხოვრობდი?

— დედამ ჩამოგიყვანა? მამა სადღაა?

— ფრონტზეა?

— რენა, შენი სახელი რა იქნება, რო გაიზრდები—რეგინა?

— თუ ირინა? ირინა, ჰო?

მაგრამ ბავშვი მხოლოდ ოდნავ შეარხევდა თაფლისფერ მარაოს და დაუნებით დასცქეროდა იატაკს.

ბოლოს ყველას მობეზრდა რენას ლოლიავი და ისევ თავ-თავიანთ საქმეებს შეუდგნენ. საქმე კი ბევრი ჰქონდათ, საბავშვო ბაღი საშეფო ჰოსპიტალში წასასვლელად ემზადებოდა. აბა, ცარიელი ხელებით რომ ვერ წავიდოდნენ დაჭრილ მეომრებთან? გამოყოფილი იყო მრავალი კომისია. ვინ ნამცხვარსა და ტკბილეულს ამზადებდა, ვინ სურათებს ხატავდა, ვინ კიდევ წარმოდგენას ან ლექსს ამზადებდა. ერთის სიტყვით, საქმე უამრავი იყო.

პატარა მზიას თავისი დედოფალა ჩაეწვინა საწოლში და დედის მზრუნველობით მისჯდომოდა ავადმყოფ „ბავშვს“. თენგოს სათვალეები გაეკეთებინა. ზინა ავადმყოფს მაჯას უსინჯავდა და მკურნალობას ეწეოდა.

— ექიმო, მიშველეთ!—დაიწყო მზიამ.

სცენა მშვიდად მიდიოდა.

მეორე კუთხეში ექვსი ბავშვი პირებად განაწილებულ ლექსს კითხულობდა „ვინ რაზე ოცნებობს“. ერთი მფრინავი უნდა გამხდარიყო, მეორე — ტანკისტი, მესამე — მზვერავი, მეოთხე—სნაიპერი, მეხუთე — არტილერისტი, ხოლო მეექვსე ინჟინერი, რომ კარგი ხიდები აეგო მშობლიური მიწის დაცველებისათვის, როცა ისინი ომიშზე წავიდოდნენ.

რენას მახლობლად ორი ბიჭი იჯდა და თუმცა ისინი მეტად გართულნი იყვნენ პატარა ყუთების გაფერადებით, მაინც თავიანთ საყვარელ თემაზე ლაპარაკობდნენ

—აი მე, როცა გავიზრდები, დიდი, დიდი... ცამდე, მაშინ დავერევი ფაშისტებს და სულ დავფერთხავ ყველას.

— შე სულელო, რად გინდა იცადო, მანამ ცამდე გაიზრდები. გაიზარდე ბიძია მიტოს ხელა და დაჯექი თვითფრინავზე...

აქ ყველასაგან მივიწყებულმა რენამ მოულოდნელად გაბუტული ტუჩები შეატოკა და წაილუღლუღა:

— მამაჩემიც მფრინავია.

— ჰოი?—ახმაურდნენ ბავშვები,—ალაპარაკდა, გაიგონეთ? რენამ სთქვა, მამაჩემი მფრინავიაო.

ყველა ისევ რენას შემოეხვია.

— მერე, სად არის ახლა?

— ფრონტზე...

— შენ აქ ვინ მოგიყვანა? დედამ?

— დედამ...

— სად ცხოვრობდით?

— იქ... ფაშისტებმა... ბომბები დაჰყარეს... —განმარტა რენამ.

ყინვა გალხვა. რენა მოთვინიერდა.

ბავშვი დღითი-დღე ეჩვეოდა ახალ მეგობრებს. მალე მისი აღტაცებული კისკისიც კი გაისმოდა, და თაფლისფერი, მარაოსავით მაგრა შეკრული თმა არა ერთხელ ჩამოჰფანტვია თავდავიწყებულ თამაშში.

ყველა შეჰხაროდა ხალისიან ბავშვს, ყველა ბედნიერი იყო, რომ მშობლიურ მხარეს მოცილებული იგი, როგორც საკუთარ ოჯახში, ისე გრძნობდა თავს საბავშვო ბაღში. მაგრამ ჩქარა ახალი საზრუნავი გაუჩნდათ.

საქმე ის იყო, რომ ჰოსპიტალში სტუმრობის დრო მოახლოვდა, რენას კი არაფერი გააჩნდა მეომრებისათვის — არც ნაქარგი, არც ნახატი. ლექსიც-კი არ შეესწავლა ჯერჯერობით. ასე ხელცარიელი ხომ ვერ წავიდოდა? ხოლო ჩამოვარდებოდა თუ არა ლაპარაკი იმაზე, რომ იგი დაეტოვებინათ, რენას წამსვე ცრემლი მოადგებოდა თვალებზე, ბავშვი ისევ ძველებურად კედელს აეტუზებოდა, ხოლო ერთი მისი გამოხედვა და ათრთოლებული ტუჩების ბუტვა ყველას გულს უკლავდა.

— შვასწავლეთ რამე, თუნდაც ორი სტრიქონი და წავიყვანოთ, — უთხრა გამგემ გამზრდელს.

— რა უნდა შევასწავლო ერთი ციცქნა ბავშვს ორ დღეში?

— იქნებ იცის რამე? გამოკითხეთ.

— ვერ ვჰთქმევინეთ.

— კარგი, მაშ მე თვითონ შევასწავლი!

გამგემ ხელში აიტაცა ბავშვი, თავის ოთახში შეიყვანა და მუხლებზე დაისვა.

რენას პირველ ნახვისთანავე შეუყვარდა გამგე. ბავშვს მოსწონდა მისი ჯანსაღი აგებულება, ახალგაზრდა ხალისიანი სახე, ნაადრევად შეევერცხლილი მჭიდროდ გადავარცხნილი თმა. რენამ მას „ბრჭყვიალა დეიდა“ შეარქვა.

როცა დედა შეეკითხა ბავშვს ვინ მოეწონა ყველაზე უფრო საბავშვო ბაღში, რენა დაფიქრდა, მერე გაიღიმა და უთხრა:

— ბრჭყვიალა დეიდა.

— ვინა, გენაცვალე?

— ჩვენი გამგე, ის ისეთია... სულ ბრჭყვიანავს.

— როგორ, ბრჭყვიალა აცვია რამე?

ბავშვმა უკმაყოფილოდ ახედა დეიდას.

— აცვია კი არა. ისეთია სულ ბრწყინავს, თმაც უბრწყინავს, კბილებიც უბრწყინავს, სულ ბრწყინავს.

აი ამ „ბრჭყვიალა დეიდამ“ გადასწყვიტა ენა ამოედგმევინებინა რენასთვის.

ბავშვი ხალისიანათ მოეწყო გამგის მუხლებზე და ჯერ კიდევ ნამტირალევი, მაგრამ უკვე იმედით გაბრწყინვებული თვალები მიაპყრო „ბრჭყვიალა დეიდას“.

— აბა, რენა, იცი რამე ლექსი?

რენამ პასუხი არ გასცა, მხოლოდ მოკუმშული მუშტი გაშალა და, თითქოს სათუთ მინას ან ფაიფურს შეეხოო, ფრთხილად გადაუსვა ფუნჩულა თითი საყვარელ ვერცხლისფერ თმას.

გამგემ ბავშვს ხელი დაუჭირა.

— დაიცა, რენა, ალარ მოგიშვები, თუ არ მეტყვი. დედამ არაფერი არ გასწავლა?

ბავშვმა გაიღიმა და ისევ თმისაკენ გაიწია.

— დაიცა, არც მამამ გასწავლა რამე?

მამის ხსენებაზე ბავშვი შეჩერდა, დაკვირვებით ახედა გამგეს და ამოისუნთქა.

— აბა, მოიგონე, მამამ არაფერი გასწავლა? ბავშვი დაფიქრდა, მერე შუბლი მოინაოჭა და ჩურჩულით სთქვა:

— მა-მამ მა-სწავლა...

— აბა, რა გასწავლა?

ბავშვი სდუმდა.

— ოჰ, მითხარი, რა გასწავლა მამამ?

რენამ ისევ მაგრა მოკუმა ტუჩები. თვალებიც კი დაფარა ფუნჩულა წამწამებით.

— არ იტყვის,—ახმაურდნენ ბავშვები.

— იტყვის, იტყვის!

გამგემ მუხლებიდან ჩამოსვა რენა, კაბა დაუწია, ბანტი შეუსწორა და დაუყვავა.

— აბა, რენა, რა გასწავლა შენმა მამიკომ? როდის გასწავლა? როცა ფრონტზე მიდიოდა?

— არ-ა,—ამოსთქვა რენამ.

— არა? მაშ, წინად ჰოო? ახლა გვითხარი, ვნახოთ, რა ლექსი გასწავლა მამამ. უნდა გვითხრა, თორემ ისე ხომ ვერ წაგიყვანთ ჰოსპიტალში. აი ნათელა ნახატებს წაიღებს, თენგო და მზია ავადმყოფობიას ითამაშებენ. ყველამ უნდა გაიკეთოს რამე, ისე, ტყუილად ხომ ვერ წაგიყვანთ.

გამგე ჯერ კიდევ მოგონებით იყო გატაცებული, როცა შენიშნა, რომ რენა უკვე კითხულობს ლექსს. ხმა არ ისმოდა, ტუჩებს მონდომებით აბოკებდა, კბილებს აჩენდა. ერთის სიტყვით, რენა აშკარად კითხულობდა ლექსს. ბოლოს ხელისგული გადაშალა და დიდი დაძაბულობით დაამთავრა:

„და ე-თი წ-ეთი წყ-ალი
ხელ-ს გუ-ზე მი-ვუტ-ნე...

ბავშვმა სული მოითქვა და კმაყოფილებით ახედა გამგეს. ყველას სიცილი შესკდა.

— რენა, გენაცვალე, რა ლექსია ეგ?

— ვისია?

— რა ჰქვია?

— თოვლის ფიფქი,—განმარტა რენამ.

— რაო, რაო?

— აბა კიდევ გაიმეორე.

ორი დღე დასჭირდათ გამზრდელებს და მთელ ჯგუფს, რომ გაეგოთ, რა ლექსი წაიკითხა რენამ. ბოლოს, როგორც იყო, გამოირკვა, რომ რენა ერთხელ იქ, შორეულ რუსეთში, მამასთან გუნდობას თამაშობდა. ისეთი ლამაზი თოვლის ფიფქები სცვივოდა, ისეთი, რომ რენას მოუნდა დედისთვის წაეღო ერთი ფიფქი—მოიმწყვდია კიდეც ხელისგულზე და დედასთან გაეშურა. მაგრამ ვიდრე მივიდოდა, ფიფქი გალხვა და რენამ დედას მხოლოდ

ერთი წვეთი წყალი
ხელისგულზე მოუტანა.

ეს ლექსი მამამ ასწავლა თურმე რენას.

ასე თუ ისე, კონცერტის რეპერტუარი შეივსო კიდევ ერთი ნომრით.

ბოლოს, დადგა სანატრელი დღე.

კონცერტმა ჩინებულად ჩაიარა. დაჭრილები აღტაცებულნი იყვნენ პატარა მსახიობებით.

დარბაზში „დიდი კონცერტის“ დამთავრების შემდეგ პატარა შეფებმა საჩუქრები დაურიგეს დაჭრილებს და ახლა მწოლიარე ავადმყოფებისაკენ გაეშურნენ.

მეხუთე პალატაში ერთ დაჭრილთაგანს თვალებზე ტილო ჰქონდა გადაფარებული.

— იქნებ აქ მძიმე ავადმყოფებია,—შეჩერდა გამგე:—არ შევაწუხოთ.

— არა, არა, ესენი მომჯობინებულები არიან, — დაამშვიდა ექიმმა,—პირიქით, ისე გელოდნენ თქვენ, პირდაპირ აგვიკლეს, ავდგებითო.

--- ის?

— ჰო, მას თვალები ჰქონდა დაზიანებული, ჯერაც ვერ იტანს სინათლეს.

როცა ექვსმა მეოცნებემ მოახსენა დაჭრილებს, რანი უნდა გამოვიდნენ და როგორ შეებრძოლებიან მტერს, გამგემ ხელში აიტაცა რენა, წინ გადასვა, კაბა დაუწია, ბანტი გაუმართა, მარაოსავით გადაშლილი თმა შეუსწორა და გამოაცხადა:

— ახლა მოუსმინეთ მხატვრული კითხვის ოსტატს...

დაჭრილებს ღიმილი მოერიათ, ხოლო რენამ წამსვე დაიწყო თავისი ლექსი.

დაჭრილები სიცილს ვეღარ იკავებდნენ, ზოგი ტიროდა.

— ოჰ, შენი ჭირიმე!

— რა კარგია!

— რა ვქნა, რას ამბობს ასეთი გატაცებით?

ბოლოს მხატვრული კითხვის ოსტატმა ცალი ხელი გაინთავისუფლა, მეორით მაგრა დაიჭირა კაბა, არ ჩამივარდესო, ხელისგული გაშალა, წინ გაიშვირა და დაამთავრა.

და ე-თი წე-თი წ-ყალი
ხელ-ს გუ-ზე მოუტანე.

საერთო ხარხარსა და მხიარულებაში არავის შეუმჩნევია, რომ კუთხეში მწოლიარე ავადმყოფმა თვალებიდან ტილო გადაიგდო და მოულოდნელი სინათლისაგან დავიწროებული თვალებით დაშტერდა გოგონას.

— რენა!—გაისმა პალატაში.

ბავშვმა შეჰკივლა და დაჭრილს მიაშურა.

— რენა! ჩემო პატარავ! ჩემო სიყვარულო, როგორ ვიფიქრებდი, თუ კიდევ განახავდი! დედა, დედა სად არის?

რენა აცქმუტდა.

— ჩვენ... ევაკუაცია... დედა? აი!.. — და თავის საყვარელ გამგეს მიაშურა.

— ბრჭყვიალა დედა, უთხარით... აი მამა... დედა... თქვენ ხომ ჩასწერეთ სად არის!

ყველას ცრემლები მოადგა თვალებზე.

მხატვრის საფრონტო ალბომიდან

ორდენოსანი ქართველი ოფიცრები ვარლამ ჯანჯღავა და ვიქტორ გაჩავა. ნახ. მხატ. შ. მამალაძის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ლექსი

გივი გაჩეჩილაძე

მებრძოლის წერილი

ბრძოლა შენელდა. კედლის ჩრდილში თუმცა დაბნელდა,
მინდა მოგწერო, ჩემო დედავ, მოკლე ბარათი:
შეწყდა კაკანი ტყვიამფრქვევთა, ზათქი შრაპნელთა,
ვარსკვლავიანი დაეხურა ცას მუზარადი.

ასეა ხშირად: როცა ტანკით მივექანებით
ჩვენ გვავიწყდება სასიკვდილო საშიშროება,
რომ თქვენთან მშვიდად ირხეოდნენ ვრცელი ყანები
და გაშლილ ხეხილს მზის ნაყოფი მშვიდად მოებას.

„ხშირად არ მწერო“ — საყვედური შენი დედური
შენმა წერილმა გაატარა გრიგალის ხმაში.
არა მცალიან, არ მეკუთვნის ეგ საყვედური,
როცა ჩამოვალ ყოველივეს გიამბობ მაშინ.

თუ ვერ ჩამოველ, თუ ქაღალდი მიიღე შავი,
სასტიკ ბრძოლაში თუ მტარვალმა კიდევ იძალა,
სთქვი: ჩემმა შვილმა სამშობლოსათვის გასწირა თავი
და ამის გამო წერილისთვის ვერ მოიცალა.

მებრძოლი სოფლად

ყოველი ბინდის ჩამოდგომისას
შენ გამოდიხარ ორლობის პირად.
აქ არც გუგუნი ისმის ომისა,
არც მყუდროება ირღვევა ხშირად.
მწკრივად დამდგარან დიდი ხეები,
უბრალო, მშვიდი და შეფოთლილი.
მათ არც იციან, ვის სად შეები,
ან ომის ამბავს რამდენს მოთვლიდი.

დგას მყუდროება სოფლურ ბუდეში,
ვით სადარაჯო ტყეში ჩადგმული.
შენ ხარ ომისი დიდი ნუგეში
და გამარჯვების მტკიცე სადგური.
და რადგან გინდა მალე გათავდეს
სამშობლოს ველზე გაშლილი ომი,
თუმც მთელი თვეა წასვლის ვადამდე,
ხვალვე საომრად მიდიხარ ლომი.

ხ ი ღ ვ ა

მთელ ღამეს წვიმდა. ღელავდა ქარი.
ტყე გრიალებდა და სარკმელს სცემდა.
ტყეთა და ხევთა და ქვაბთა ზარი
ღამეული გზით მოვიდა ჩემთან.
არ მომასვენა, შფოთი და ღელვა
შემოალაგა ჩემს სარეცელში,
თითქოს ლოგინში ჩამიწვა ელვა
და ისრის წვერით მჩხვლეტავდა წელში.

შეანათებდა ხანდახან სწრაფად
ტყის აჩრდილებით მოხატულ კედელს.
ვერ მოვისვენე: დავეყრდენ რაფას
და სარკმელიდან გადავიხედე.
და იყო ხილვა: დამცხრალი მთვარე,
წყნარი ნათელი იდგა არეში.
ტყე მდუმარებდა და იყო მხარე
შრიალისა და ჩქამის გარეშე.

პ ა ჰ ა რ ე

საქართველოს საბჭოთა მწერლების სომხურმა სექციამ წელს აღნიშნა თავისი ერთ-ერთი ძველი წევრის მწერლისა და მსახიობის **პაპარეს** (პაიკ პეტროსიანის) სამწერლო მოღვაწეობის 30 წლისთავი, ხოლო საქ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მას მიანიჭა საქ. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სახელწოდება.

პაპარე დაიბადა 1895 წ. ნორ-ბაიაზეთის სოფ. ქრიავაღრში. სწავლა-განათლება მიიღო თბილისის ნერსესიანის სემინარიაში. სწერს ლექსებს, მოთხრობებს და პიესებს. პაპარე ცნობილია, როგორც პოეტი და მსახიობი. მუშაობს თბილისის სახელმწიფო სომხური დრამის თეატრში, რომლის დაარსებიდანაც დღემდე მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მსახიობია.

პაპარეს პოეზია გამსჭვალულია პატრიოტული სულისკვეთებით. მისი ლექსები გამოირჩევიან შინაარსით და ფორმის დახვეწილობით.

თავის პოეზიაში ის აგრძელებს სომხური კლასიკური ლიტერატურის კეთილშობილურ ტრადიციებს; პოეტი მუდამ ეხმაურება თანამედროვეობის აქტუალურ თემებს. მისი ლექსი გამოირჩევა თავისი ჰარმონიულობითა და მელოდიურობით.

ცალკე წიგნებად გამოცემულია მისი ლექსების ორი ტომი და ერთი პოემა. პაპარე, როგორც პოეტი და როგორც დრამისა და ესტრადის მსახიობი, დიდი პოპულარობით სარგებლობს ხალხში.

სამამულო ომის პერიოდში პაპარე ხელმძღვანელობს მსახიობთა ბრიგადას, რომელსაც არა ერთხელ გამოეცხადა მადლობა.

სურენ ავჩიანი

ისტორიის მებრძოლი სული

გესარიონ ულენტი

წერილი მესამე

დიადი სამამულო ომის ქარცეცხლში ახალი საბრძოლო წრთობა გაჩიცადა ჩვენი სამშობლოს ხალხთა სტალინური ძმობისა და მეგობრობის მაღალმა, უწმინდესმა გრძნობამ. ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ნათელი და ხელსახები გახდა ჩვენი რევოლუციის ამ უძვირფასესი მონაპოვრის განუზომელი, სასიცოცხლოდ აუცილებელი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის, მისი უკვდავებისა და თავისუფლებისათვის.

ამიტომაც ეხლა უფრო მეტის სიყვარულით და მადლიერებით არის მიპყრობილი ჩვენი თვალი და გული ამ დიადი გრძნობის ისტორიული სათავეებისაკენ, იმ ისტორიული ეპოქებისა და პიროვნებებისაკენ, რომელთაც მყარი დასაბამი მისცეს ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურთიერთმისწრაფების, მათი საბრძოლო თანამშრომლობის ძვირფას ტრადიციას.

საბჭოთა ხალხის ამ საყოველთაო, ფაღრესად სადღესასწაულო მისწრაფებას ეხმაურება სიმონ ჩიქოვანის წიგნი „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ და სწორედ ამაში მდგომარეობს ქართველი ხალხის პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების წარსულის მასალაზე აგებული ამ პოეტური ქმნილების ღრმა აქტუალობა ჩვენი გმირული თანამედროვეობისათვის.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ ფრიად ორიგინალური ნაწარმოებია როგორც ჟანრის, ისე კომპოზიციის, საერთოდ — პოეტური მონაფიქრისა და შესრულების თვალსაზრისით. ეს არ არის პოემა, რაიმე ერთიან ეპიზოდურ მოტივზე, ერთიან სიუჟეტურ ღერძზე დამყარებული ეპიური ნაწარმოები. იგი არც ლირიკული ფრაგმენტების კრებულია, ეს თავისებური პოეტური ციკლია, რომლის შემადგენელი ლექსებიც, ყოველი მათგანის საკუთარი აზრისა და დამოუკიდებელი ღირებულების მიუხედავად, გაერთიანებულია არა მარტო საერთო იდეურ-თემატური მიზანდასახულებით, არამედ მტკიცე შინაგანი ლოგიკური თანმიმდევრობით და მხატვრული მთლიანობით.

საქართველოს ისტორიის მეტად მძიმესა და ბუსხიან ხანას, ძველ საქართველოს მწუხარე ეპოქას, მე-18 საუკუნის ქართველი ხალხის პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ვიხარებას ეს წიგნი გვიხატავს ეპოქის ერთერთი უდიდესი ადამიანის — დავით გურამიშვილის ცხოვრების მღელვარე ისტორიისა და მისი უსაზღვროდ რთული სულიერი სამყაროს თავისებური პოეტური გაშუქების გზით.

სიმონ ჩიქოვანის წიგნში ჩვენ ვხედავთ პოეტურად გაცოცხლებულ სახეს დავით გურამიშვილისას, რომელმაც, სამშობლოს მტრების მიერ დატყვევებულა, ბნელი ორმოდან თავდაღწევისთანავე მიაშურა რუს მეძალეს, ნისგან მიიღო პირველი ნუგეში და სასაცოცხლო მხარდაჭერა, თავისი სისხლი დაღვარა რუს და უკრაინელ ხალხთა შვილებთან ერთად, გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, და, ბოლოს, უკრაინაში დასახლებულმა მშობლიურ ჰანგებთან რუსული და უკრაინული ხმების შერწყმით შეწმინდა თავისი უკვდავების დამამკვიდრებელი დიდებული საგალობელი.

ამ სახეს განვიცდით როგორც ხორცშესხმულ სიმბოლოს ქართველი ხალხის იმდროინდელი ცხოვრებისა, როდესაც იგი, მძვინვარე და დაუნდობელი მტრების მიერ გარემოცული და ფეოდალურ ბრძოლებში სისხლისაგან დაცლილი, თავგამოდებით მიიწევდა თავისი დიდი ჩრდილოელი მეზობლისაკენ, რათა მასთან სამუდამოდ დაძმობილების გზით მოეპოვებინა თავისი ისტორიის განახლებისა, წყლულთა მოშუშებისა და მომავალი უკვდავების საწინდარი.

თაღისა ცხოვრებისა და შემოქმედების მთელი ბუნებით რუს და უკრაინელ ხალხებთან განუყოფელად დაკავშირებული დავით გურამიშვილი გვევლინება ჩვენს სამშობლოში ეხლა დამკვიდრებული ხალხთა ურყევი მეგობრობის შორეულ წინამორბედად და მოციქულად.

გურამიშვილის პიროვნების ასეთი გაგება წარმოადგენს სიმონ ჩიქოვანის ნაწარმოებში განსახიერებული შემოქმედებითი კონცეფციის საფუძველს და ამ თვალსაზრისის დიდი ისტორიული სიმართლე და ღრმა თანხმოვნება ჩვენი ხალხის ეხლანდელ აზრებთან და განწყობილებებთან უკვე ბნიშვნელოვან წინაპირობად ხდება ამ წიგნის წარმატებისათვის.

სიმონ ჩიქოვანის, ამ შემთხვევაში ისტორიული ჟანრის ნაწარმოების ავტორის, დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის გარემება, რომ იგი ახერხებს თანამედროვე ადამიანის ჯრძნობებისა და აზრების სამყაროსთან მიახლოვოს ისტორიული პიროვნება. ამას პოეტი აღწევს გარკვეულ ხერხით: ისტორიულ ვმირთან საკუთარი პოეტური ცხოვრების დაკავშირებით, უშუალო და წრფელი ინტიმური კონტაქტის დამყარებით თავისი პოეტური წარმოსახვის ობიექტად არჩეულ ისტორიულ პერსონაჟთან. ჟურაინელი პოეტებისადმი მიძღვნილ ლექსში, რომლითაც იხსნება ციკლი „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, პოეტი ამბობს:

„ბურამიშვილი. ტიროდა თქვენში,
იგი ტიროდა, თუ მე ვტიროდი,
ამირწყავს მისი ცრემლები პეშვით,
მეც ძმიღერია ძველი კილოთი“.

ციკლის მეორე ლექსში პოეტი მიმართავს თვით გურამიშვილს:

„შენს მოტირილს მეც ვისმენდი
ცად აპყრობილს კვაძლის ხოლად,
შენი ცრემლის მელნით ვწერდი
მშობელ მიწის გასაგონად“.

და შემდეგ დავით გურამიშვილის აფორიაქებულ ცხოვრების გადმომცემ ერთ-ერთ ლექსში სიმონ ჩიქოვანი არა მარტო გურამიშვილის სულიერი ტკივილების თანამოზიარად გვევლინება, არამედ თითქოს მის ფიზიკურ შეგრძნობათა მონაწილედაც:

„შენ ტკივა, თუ მე ვკანკალებ სულერთია,
ოღონდ ვიყოთ მარად ტრფიალებით
მთვრალი,
შენს წისქვილში მსურდა ღამე გამეთია,
ან მეპოვნა, შენი ჭიმით სავსე კვალი“.

ასე გადალახავს პოეტი თავისი გმირისაგან დამამორებელ დროისა და სივრცის დისტანციას, ასე ინტიმურად შედის იგი გურამიშვილის განცდათა და გრძნობათა სამყაროში და ეს ემოციური კონტაქტი ისტორიული პიროვნების გაცოცხლებისა და ჩვენი დროის ადამიანის ინტერესთა სამყაროში შემოყვანისა მეტად ეფექტურ საშუალებად იქცევა.

ბურამიშვილის ბიოგრაფიის მთავარ ეპიზოდთა თანმიმდევრულ წარმოსახვითა და „დავითიანში“ გამოთქმულ მსოფლმხედველობრივი მოტივების თავისებური შემოქმედებითი ინტერპრეტაციის გზით აყალიბებს სიმონ ჩიქოვანი წარსულის ამ დიდი პოეტისა და ეპოქის რჩეული მოქალაქის შთაგონებულ სახეს.

ციკლის პირველ ლექსებში ჩვენს თვალწინ გაივლიან პოეტურად გაცოცხლებული ისეთი ეპიზოდები ბურამიშვილის ცხოვრებისა, როგორიცაა მისი დატყვევება, ბნელ ორმოში გატარებული ტანჯვის დღეები, ტყვეობიდან მისი გაქცევა და ლტოლვილებში განცდილი მრავალი ხიფათი და მწუხარება, ვიდრე თითქოს ბედის მიერ მისთვის გამზადილს და წინად განზრახულ კალმდე მიაღწევდა.

თითქოს ყოველივე ეს ჩვენთვის ცნობილი იყო თვით დავით გურამიშვილის წიგნიდან, რომელიც უმთავრესად პოეტის აუტობიოგრაფიულ მასალაზეა გაშლილი და რომელიც წარმოადგენს პირქუშ ბედთან შეჯიდებული ადამიანის მეტად მგზნებარე ლირიკულ მონოლოგს.

მაგრამ სიმონ ჩიქოვანის ლექსების ციკლში ჩვენ საქმე გვაქვს გურამიშვილის ცხოვრებისა და სულიერი სამყაროს მოტივების ახლებურ პოეტურ გააზრებასა და გამოხატულებასთან იმგვარად, როგორც ამ დიდ ბიოგრაფიას და ამ დიდ მწუხარე საგალობელს გაიგებს და განიცდის თანამედროვე ადამიანი, ჩვენი ეპოქის პოეტი და მოაზროვნე. ამიტომ ამ პოეტურ ციკლში ახალი სიმწვავით იხატება გურამიშვილის ცხოვრების დრამა, ახალის სიმკვეთრით გამოვლინდება ის იმვიათი სულიერი რაინდობა, რომელმაც სძლია ჟამთა უკუღმართობას და უჭკნობი უკვდავება მოიპოვა.

განმეორებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ მთელი ციკლის მანძილზე გურამიშვილის პირადი ხვედრი გაგებული და გამოხატულია, როგორც მთელი ერის ისტორიული ბედის სიმბოლური განსახიერება, განთვებული ისტორიული პერსპექტივის შუქით, ჩვენი დიადი დღევანდელობის თვალთახილვით. არა ისტორიის ნაძალადევი და ხელოვნური „მოდერნიზაციით“, არამედ ისტორიული მასალისადმი დღევანდელი ადამიანის თვალთახედვის ორგანულად მომარჯვების გზით აღწევს სიმონ ჩიქოვანი ასეთ ახლებურ და აქტუალურ ეფექტს შორეული წარსულის ისეთ მოტივებისასა, რომლებიც ერთხელ უკვე გვასმინა თვითონ დ. გურამიშვილმა და გვასმინა, რა თქმა უნდა, შეუდარებელი და განუმეორებელი პოეტური შთაგონებით.

აი ლტოლვილი დავით გურამიშვილი პურის კალოს წაადგა. რუსმა ბლეხებმა ძმურად მიიღეს იგი და პური მიაწოდეს შიმშილით ილაჯგაწყვეტილ მგზავრს. სიმონ ჩიქოვანი ამ ყოფითს ბიოგრაფიულ ეპიზოდს დიდი სოციალური და ისტორიული აზრით აშუქებს:

„შენ რუსის ლუკმა მოგეთბო,
ძმური სიამით ღელავდი,
სუფრით აყვავდა გულისთქმა,
რომ მოაღწია ჩვენამდი“.

დავით გურამიშვილი, „ქარი ქართლისა, რუსეთში გადავარდნილი“ ერთბაშად შეეტაკო და შეეთვისა თავის რუს მასპინძლებს. მათ შორის ძმობისა და მეგობრობის კერა გაჩაღდა, რომელიც

„ბაღს დაემგვანა უნაზესს,
შემდეგ ჯრძნობაში დახვავდა,
და ეხლა გორის კერაზე
ატმის ხესავით აჰყვავდა“.

დავით გურამიშვილმა რუსი ხალხის, მშრომელი ხალხის სახით ჰპოვა თავისი პირველი ძმობილი და მომავალი ნამდვილი მოკავშირე.

„შენ რუსი შეგხვდა ნამდვილი,
ვახტანგს რომ შეხვდა, ის არა,
შენებრ ვარამში გაწრთვნილი,
შენებრ რომ სწყავდა იარა“.

და სწორედ ჭირისა და ლხინის ასეთი თანაზიარი რუსი ხალხის შესახებ თქმულ მადლიერების საგალობლად გაისმის სიმონ ჩიქოვანის სიტყვები დავით გურამიშვილისადმი:

„იგი გათბობდა ავდარში,
ის გაგრილებდა სიცხეში,
ის გამღერებდა ზამთარში
უდაბნოში და ციხეში...“

ეს სტრიქონები ერთხელ კიდევ გვარწმუნებენ, რომ სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითს ძალაში შეადგენდა არა დ. გურამიშვილის პირადი ცხოვრებისა და სულიერი ტკივილების ხელახლა გადმოცემა, ე. ი. თავისებურად განმეორება, რაც დიდებულად სთქვა დავით გურამიშვილმა, არაედ გურამიშვილის ბიოგრაფიის ფაქტებისა და მისი განწყობილების გაგაზრება იქ დიდი ისტორიული და სოციალური იდეების თვალთახედვით, რომელთა სიმაღლეზედაც აიყვანა ადამიანი ჩვენმა სოციალისტურმა ეპოქამ.

ციკლის ერთ-ერთ უძლიერეს ლექსს წარმოადგენს „დავით გურამიშვილის გოდება ვახტანგის გარდაცვალების გამო“, სადაც ლრმა ეჭვმარსებით არის გადმოცემული დიდი პატრიოტის ძღელვარე გულისტკივილი, აღმოცენებული საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჩახალოვებული და გარდაუვალი კატასტროფის შეგნებით.

„ჭერი დაგვენგრა და წვიმაში შერჩით
კაენმან,
სამშობლოს დროშა არ შრიალებს,
დაბლა დაეშვა“.

და ამ ულმობელი სინამდვილის მუშავედ განცდის შემდეგ დავითი ეძებს საიდედ გზას:

„სად წახვიდე, არაგვზე თუ მოსკოვს,
გადასწყვიტე, თუ რომელი დასთმო?“

სამშობლოსაკენ მომავალი გზა დახშულია, რადგან მშობელი მიწა-წყალი უცხოელ დამპყრობელთა მიერ არის დახანძრული დადარბეული:

„ვაი, ვაი, თურმე დედა ჰკივის,
მტერი ქართლით ეროკება ნახირს,
ლტოლვილ ურემს მიუძღვება ქვრივი,
ჯოხის ნაცვლად ებჯინება მახვილს“.

და მისი პატრიოტული მხურვალებით აღგზნებული გული აქ პოულობს იმ ერთადერთ გზას, რომელიც გარდაუვალად იყო ისტორიის მიერ ნაკარნახევი ამ ვითარებაში ქართველი ხალხისათვის:

„გაეშურე, დაიოკე ეინი,
ჩრდილოეთის გზა ირჩიე, მწერო,
ხეტიალში ეგებ შექმნა წიგნი,
ვით ტაძარში შუხვიდე და სწერო“.

ლექსი „დაბინავება უკრაინაში“ არა მარტო თავისი სტრიქონების აზრით, არა მარტო პოეტურ ფრაზათა სემანტიკით, თავისი მჭმუნვარე მელოდიურობითაც გულის სიღრმემდე ჩაჰწვდენი ძალით გადმოგვცემს სამშობლოს მოწყვეტილი პოეტის წყლულს, მის დღეცხრომილ გულის ტკივილს:

„ქართლს ომმწყვიტეს და დავიწყე წანწალი,
უკრაინას სახლი დავდგი საწყალი,
დავბინავდი, ხნულში ჩავდე მარცვალი,
ვიგალობე, ვაღიღინე ნაცარი
და არ მყავს მე ლექსს გამგონე“.

აქ სიმონ ჩიქოვანი აღწევს დ. გურამიშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელ სკეპსისს, მისი მელანქოლიური მღელვარების ხმაფრ გამოხატვას იღბლიანად მიგნებულ ცხოველ პოეტურ სახეთა და ჰანგთა ერთიანობაში:

„ბაღი მიყვარს, ვარდი მიყვარს ტრამალის,
ჩემი სული სანთელია ვარამის.
სად ვიმღერო, ვის ვუმღერო, მითხარით!
ლაღად ვარ და არაფერი მიხარია
და ამ გრძნობამ დამბერა მე!“

არა მარტო თავისი ბიოგრაფიით, არამედ თავისი შემოქმედების მუსიკითაც დავით გურამიშვილმა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმობის მაღალი იდეა განასახიერა და გვიანდერძა ამგვარად განიცდის სიმონ ჩიქოვანი დავით გურამიშვილის პოეზიაში შემოსულ რუსულ და უკრაინულ ფოლკლორულ-სასიმღერო მოტივებს და ამ აზრს განასახიერებს ლექსში „სამფერიანი ხმა“ —

ეძებდა რუ

ახალი ქართული მხატვრობის ფუძემდებელი

მამია დუდუჩავა

გასული საუკუნის ქართული მხატვრობა 90-იან წლებამდე მეტად შეზღუდული იყო. ის ძირითადად მხოლოდ პორტრეტის ჟანრით იყო შემოფარგლული. ევროპული და რუსული მხატვრების ეპიგონური მიბაძვა და ნაციონალური შემოქმედების ტრადიციებიდან მოწყვეტა აკნინებდა მის როლს ჩვენი ხალხის მხატვრული კულტურის განვითარებაში.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ქართული მხატვრობის განვითარების ახალი ხანა. ფერწერის დიდმა ოსტატმა, ახალი ქართული ხელოვნების უდიდესმა წარმომადგენელმა გ. გაბაშვილმა თავის ნაწარმოებთა ინდივიდუალური გამოფენებით, აგრეთვე სხვადასხვა საერთო გამოფენებზე მონაწილეობით პირველმა გაარღვია ქართული მხატვრობის შეზღუდულობის რკალი: მან, გარდა იმისა, რომ ნაციონალურ ნიადაგს დაუბრუნა ქართული სახვითი ხელოვნება და ამით ევროპიზმი გარკვეული ნაციონალური ფორმით დაამკვიდრა ქართულ მხატვრობაში,—ქართული მხატვრობა რუსული და ევროპული ხელოვნების საუკეთესო მონაპოვართა სიმაღლემდე აიყვანა. ამ მხრივ გაბაშვილმა ახალი ქართული მხატვრობის ფუძემდებლის როლი შეასრულა[1]).

* * *

გ. გაბაშვილი დაიბადა 1862 წლის 9 ნოემბერს. 1880 წელს ის ამთავრებს თბილისის რეალურ სასწავლებელს და გატაცებით ეწაფება მხატვრობის შესწავლას, რის მიმართაც ჯერ კიდევ მოწაფეობის პერიოდში იჩენდა განსაკუთრებულ ინტერესს.

1886 წელს გაბაშვილი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის პროფ. ვილევალდეს ბატალური კლასის თავისუფალი მსმენელი ხდება, გაჭირვებული ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ის წარმატებით მეცადინეობს აკადემიაში, რის გამოც სამჯერ იქნა დაჯილდოებული აკადემიის საბჭოს მიერ: ორჯერ ვერცხლის პატარა წამახალისებელი მედლით, ხოლო მესამედ ვერცხლის დიდი წამახალისებელი მედლით. 1888 წლის გაზაფხულზე გაბაშვილი ამთავრებს (სადიპლომო სურათი „ცხენოსანი ქურთი") აკადემიის ბატალური კლასის კურსს და სამშობლოში ბრუნდება.

დიდი ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის შედეგად, 1891 წლის იანვრის პირველ რიცხვებში გაბაშვილი თბილისში ხსნის თავისი სურათების პირველ გამოფენას, რომელიც ისტორიულად პირველ ინდივიდუალურ გამოფენას წარმოადგენდა, გამართულს ქართველი მხატვრის მიერ. ამ გამოფენამ ოსტატად მომწიფებული მხატვრის სახელი დაუმკვიდრა ახალგაზრდა ხელოვანს. განსაკუთრებით დიდი გამოძახილი ჰპოვა გამოფენაზე წარმოდგენილმა სურათებმა: „ბოსტანში", „ურემი", „ალისორი", „ბაზარი ორთაჭალაში", „ზანგი", „თავადის პორტრეტი" და სხვ.

მომდევნო წლებში მხატვარი უფრო სწრაფად წავიდა წინ. კერძოდ, ჯერ კიდევ 90-იანი წლების მეორე ნახევარში მან შექმნა თავისი პირველი შედევრები, ფერწერის დიდი ოსტატობით შესრულებული ტილოები: „სამი მოქალაქე" და „მოლა".

1894 წელს გ. გაბაშვილი მოგზაურობს შუა აზიაში ამერიკელ კრენის დაკვეთის შესასრულებლად. იმავე წელს შემოდგომაზე ის მიდის მოუნხენს სამხატვრო აკადემიაში სწავლის განსაგრძობად. მიუნხენის აკადემიას მხატვარი 1898 წელს ამთავრებს, ამასთან ამთავრებს წარმატებით. შემოქმედის ინტერესის მხრივ ამ პერიოდში (1894-1897 წლებში) გაბაშვილი შუა აზიის თემატიკით არის გატაცებული. იგი ჰქმნის შუა აზიის ადგილობრივ ტიპებისა და ბუნების ამსახველ შესანიშნავ ტილოებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: „ბაზარი სამარყანდში" (შესრულებული რამდენიმე ვარიანტად), „აუზი ბუხარაში", „დაბახანა", „საუბარი" და „დასვენება".

1898 წელს დაიწყო გაბაშვილის შემოქმედების მძლავრი აღმავლობის პერიოდი, რომელიც უმთავრესად 900-იანი წლების უღელტეხილით შემოიფარგლა. ამ საკმაოდ მოკლე მანძილზე ხელოვანი ზედიზედ ჰქმნის თავის ბრწყინვალე შედევრებს: „მძინარე ხევსურს", „მთვრალ ხევსურს", „უცნობი ქართველი თავადის პორტრეტს", „ალავერდობას", „მეფროშეს", დე-როზას პორტრეტს, „ხევსურებს სადარაჯოზე", აგრეთვე „ხევსურთა ღრეობას" და სხვას. ამ შესანიშნავ ტილოებზე ფერების დიდი არტისტი ვირტუოზული მხატვრული ხელვით და მგზნებარე განცდით, დიდი მხატვრის ნამდვილი სტიქიით ანსახიერებს თავისი ხალხის ცხოვრებასა და ტიპებს. მზით განათებული მძინარე ხევსურის სახე, ფერების თავისებური აკორდით და განსაკუთრებული მხატვრული სიძლიერით გაცოცხლებული ქართველი თავადის პორტრეტი, საყელო-გახსნილი ხევსურის შეუდარებლად გადმოცემული სიმთვრალე, „ოფის, ტიპებისა და ბუნების ამსახველ შესანიშნავ ტილოებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: „ბაზარი სამარყანდში" (შესრულებული რამდენიმე ვარიანტად), „აუზი ბუხარაში", „დაბახანა", „საუბარი" და „დასვენება".

ბაღჩაში. სურათი მხატ. გ. გაბაშვილისა.

მთვრალი ხევსური, სურათი გ. გაბაშვილისა.

1898 წელს დაიწყო გაბაშვილის შემოქმედების მძლავრი აღმავლობის პერიოდი, რომელიც უმთავრესად 900-იანი წლების უღელტეხილით შემოიფარგლა. ამ საკმაოდ მოკლე მანძილზე ხელოვანი ზედიზედ ჰქმნის თავის ბრწყინვალე შედევრებს: „მძინარე ხევსურს", „მთვრალ ხევსურს", „უცნობი ქართველი თავადის პორტრეტს", „ალავერდობას", „მეფროშეს", დე-როზას პორტრეტს, „ხევსურებს სადარაჯოზე", აგრეთვე „ხევსურთა ღრეობას" და სხვას. ამ შესანიშნავ ტილოებზე ფერების დიდი არტისტი ვირტუოზული მხატვრული ხელვით და მგზნებარე განცდით, დიდი მხატვრის ნამდვილი სტიქიით ანსახიერებს თავისი ხალხის ცხოვრებასა და ტიპებს. მზით განათებული მძინარე ხევსურის სახე, ფერების თავისებური აკორდით და განსაკუთრებული მხატვრული სიძლიერით გაცოცხლებული ქართველი თავადის პორტრეტი, საყელო-გახსნილი ხევსურის შეუდარებლად გადმოცემული სიმთვრალე, ტიპებისა და ბუნების ამსახველ შესანიშნავ ტილოებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: „ბაზარი სამარყანდში" (შესრულებული რამდენიმე ვარიანტად), „აუზი ბუხარაში", „დაბახანა", „საუბარი" და „დასვენება".

1898 წელს დაიწყო გაბაშვილის შემოქმედების მძლავრი აღმავლობის პერიოდი, რომელიც უმთავრესად 900-იანი წლების უღელტეხილით შემოიფარგლა. ამ საკმაოდ მოკლე მანძილზე ხელოვანი ზედიზედ ჰქმნის თავის ბრწყინვალე შედევრებს: „მძინარე ხევსურს", „მთვრალ ხევსურს", „უცნობი ქართველი თავადის პორტრეტს", „ალავერდობას", „მეფროშეს", დე-როზას პორტრეტს, „ხევსურებს სადარაჯოზე", აგრეთვე „ხევსურთა ღრეობას" და სხვას. ამ შესანიშნავ ტილოებზე ფერების დიდი არტისტი ვირტუოზული მხატვრული ხელვით და მგზნებარე განცდით, დიდი მხატვრის ნამდვილი სტიქიით ანსახიერებს თავისი ხალხის ცხოვრებასა და ტიპებს. მზით განათებული მძინარე ხევსურის სახე, ფერების თავისებური აკორდით და განსაკუთრებული მხატვრული სიძლიერით გაცოცხლებული ქართველი თავადის პორტრეტი, საყელო-გახსნილი ხევსურის შეუდარებლად გადმოცემული სიმთვრალე,

მთვრალ ხევსური, სურათი გ. გაბაშვილისა.

„მთვრალ ხევსურს", „უცნობი ქართველი თავადის პორტრეტს", „ალავერდობას", „მეფროშეს", დე-როზას პორტრეტს, „ხევსურებს სადარაჯოზე", აგრეთვე „ხევსურთა ღრეობას" და სხვას. ამ შესანიშნავ ტილოებზე ფერების დიდი არტისტი ვირტუოზული მხატვრული ხელვით და მგზნებარე განცდით, დიდი მხატვრის ნამდვილი სტიქიით ანსახიერებს თავისი ხალხის ცხოვრებასა და ტიპებს. მზით განათებული მძინარე ხევსურის სახე, ფერების თავისებური აკორდით და განსაკუთრებული მხატვრული სიძლიერით გაცოცხლებული ქართველი თავადის პორტრეტი, საყელო-გახსნილი ხევსურის შეუდარებლად გადმოცემული სიმთვრალე, ტიპებისა და ბუნების ამსახველ შესანიშნავ ტილოებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: „ბაზარი სამარყანდში" (შესრულებული რამდენიმე ვარიანტად), „აუზი ბუხარაში", „დაბახანა", „საუბარი" და „დასვენება".

1898 წელს დაიწყო გაბაშვილის შემოქმედების მძლავრი აღმავლობის პერიოდი, რომელიც უმთავრესად 900-იანი წლების უღელტეხილით შემოიფარგლა. ამ საკმაოდ მოკლე მანძილზე ხელოვანი ზედიზედ ჰქმნის თავის ბრწყინვალე შედევრებს: „მძინარე ხევსურს", „მთვრალ ხევსურს", „უცნობი ქართველი თავადის პორტრეტს", „ალავერდობას", „მეფროშეს", დე-როზას პორტრეტს, „ხევსურებს სადარაჯოზე", აგრეთვე „ხევსურთა ღრეობას" და სხვას. ამ შესანიშნავ ტილოებზე ფერების დიდი არტისტი ვირტუოზული მხატვრული ხელვით და მგზნებარე განცდით, დიდი მხატვრის ნამდვილი სტიქიით ანსახიერებს თავისი ხალხის ცხოვრებასა და ტიპებს. მზით განათებული მძინარე ხევსურის სახე, ფერების თავისებური აკორდით და განსაკუთრებული მხატვრული სიძლიერით გაცოცხლებული ქართველი თავადის პორტრეტი, საყელო-გახსნილი ხევსურის შეუდარებლად გადმოცემული სიმთვრალე,

მთვრალ ხევსური, სურათი გ. გაბაშვილისა.

„მთვრალ ხევსურს", „უცნობი ქართველი თავადის პორტრეტს", „ალავერდობას", „მეფროშეს", დე-როზას პორტრეტს, „ხევსურებს სადარაჯოზე", აგრეთვე „ხევსურთა ღრეობას" და სხვას. ამ შესანიშნავ ტილოებზე ფერების დიდი არტისტი ვირტუოზული მხატვრული ხელვით და მგზნებარე განცდით, დიდი მხატვრის ნამდვილი სტიქიით ანსახიერებს თავისი ხალხის ცხოვრებასა და ტიპებს. მზით განათებული მძინარე ხევსურის სახე, ფერების თავისებური აკორდით და განსაკუთრებული მხატვრული სიძლიერით გაცოცხლებული ქართველი თავადის პორტრეტი, საყელო-გახსნილი ხევსურის შეუდარებლად გადმოცემული სიმთვრალე, ტიპებისა და ბუნების ამსახველ შესანიშნავ ტილოებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: „ბაზარი სამარყანდში" (შესრულებული რამდენიმე ვარიანტად), „აუზი ბუხარაში", „დაბახანა", „საუბარი" და „დასვენება".

1898 წელს დაიწყო გაბაშვილის შემოქმედების მძლავრი აღმავლობის პერიოდი, რომელიც უმთავრესად 900-იანი წლების უღელტეხილით შემოიფარგლა. ამ საკმაოდ მოკლე მანძილზე ხელოვანი ზედიზედ ჰქმნის თავის ბრწყინვალე შედევრებს: „მძინარე ხევსურს", „მთვრალ ხევსურს", „უცნობი ქართველი თავადის პორტრეტს", „ალავერდობას", „მეფროშეს", დე-როზას პორტრეტს, „ხევსურებს სადარაჯოზე", აგრეთვე „ხევსურთა ღრეობას" და სხვას. ამ შესანიშნავ ტილოებზე ფერების დიდი არტისტი ვირტუოზული მხატვრული ხელვით და მგზნებარე განცდით, დიდი მხატვრის ნამდვილი სტიქიით ანსახიერებს თავისი ხალხის ცხოვრებასა და ტიპებს. მზით განათებული მძინარე ხევსურის სახე, ფერების თავისებური აკორდით და განსაკუთრებული მხატვრული სიძლიერით გაცოცხლებული ქართველი თავადის პორტრეტი, საყელო-გახსნილი ხევსურის შეუდარებლად გადმოცემული სიმთვრალე, ტიპებისა და ბუნების ამსახველ შესანიშნავ ტილოებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: „ბაზარი სამარყანდში" (შესრულებული რამდენიმე ვარიანტად), „აუზი ბუხარაში", „დაბახანა", „საუბარი" და „დასვენება".